



31 მარტი, 2017

პარასკევი, №3 (2205)



განათლების კომიტეტმა „ვალდასი განათლების შესახებ“ კანონი ცვლილებას 1-ლი მოსმენით მხარი დაუჭირა

ნიკო ჯაფარიძე

უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები შედის, რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოების საქმიანობაში სტრუქტურული ცვლილებების დანერგვა...

კანონპროექტი 31 მარტს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს.

გვ. 2



ევროკავშირის ქვეყნები უპირობოდ მიიღებენ გზავრტა პირველი ნაბიჯი



გვ. 2

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები უნივერსიტეტიდან დაიწყო



„ავტოკეფალია – 100 – ბიბლიოთეკის საბანძურე“



საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან საუკუნე გავიდა — ეს ისტორიული თარიღი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ, სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა. 25 მარტს თსუ-ის შუაუბის საბაგოფო დარბაზში მოეწყო გამოფენა „ავტოკეფალია — 100 — ბიბლიოთეკის საბანძურე“, სადაც წარმოდგენილი იყო თსუ-ის ბიბლიოთეკის და შუაუბის დატვირთული საეკლესიო უნიკალური გამოცემები და ხელნაწერები...

გვ. 3

### აქცენტი

- „თსუ-ის ბაგების სტუდენტალური კომპიუტერული რესურსცენტრი გაიხსნა. 15 კომპიუტერით სტუდენტალური მცხოვრებელნი 240-მდე სტუდენტი ისარგებლებს“ (ახალი რესურსცენტრი სტუდენტალური) **გვ. 2**
- საქართველოს გუნდმა - All in მეორე ადგილი დაიკავა სტუდენტებისა და პროფესიონალი პროგრამისტებისთვის შეჯიბრში სახელწოდებით - „Hash Code“, რომელიც პარიზში უკვე მეოთხედ ჩატარდა. გუნდის **გვ. 2**
- უმნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ელდარ შენგელაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიის **გვ. 4**
- უმნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ელდარ შენგელაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიის **გვ. 5**
- Humans of Tbilisi - პროექტი (რომლის იდეა ქუჩის უფროსების განვითარებაა) უკვე 3 წელია არსებობს. მას სოციალურ ქსელში 26 300-ზე მეტი გამომწერი ჰყავს. იდეა თსუ-ის სტუდენტებს დემეტრე დათიაშვილსა და გუგა ჩხიკვიშვილს ეკუთვნის (Humans of Tbilisi - ქაღალდის სტამბა საქართველოში) **გვ. 9**
- თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ დევაძე მსოფლიოში უდიდესი ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი ამერიკული კორპორაცია ExxonMobile-ის ბუდაპეშტის ფილიალის ფინანსური ანალიტიკოსი გახდა **გვ. 13**

## ნოემბერი

ახალი რესურსცენტრი სტუდენტალური **გვ. 2**

BLOOMBERG-ის საერთაშორისო კვლევითი ლაბორატორია თსუ-ში **გვ. 4**

სურ-მთიანი **გვ. 8-9**

გამოიცა კრებული „ფუნდამენტალიზმი. უმცირესობების, დისკრიმინაციისა და ტრანსნაციონალიზმის ეთნოგრაფიები“ **გვ. 11**

სოლიდარობა ბუკინისტებს **გვ. 12**

გამოიცა კრებული „ფუნდამენტალიზმი. უმცირესობების, დისკრიმინაციისა და ტრანსნაციონალიზმის ეთნოგრაფიები“ **გვ. 10**



მერაბ კოკოჩაშვილი: აუცილებლად უნდა გქონდეს წინააღმდეგობა, რომ ის გაანგრიო და როცა მას ანგრევ, ესაა ბედნიერება **გვ. 6-7**



## თსუ-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით საკოლექციო მონეტა გამოვა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თსუ-ის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მონეტის დიზაინის ესკიზის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პირობები იხილეთ ბმულზე: <https://goo.gl/Wy1A9b>

# განათლების ხომალტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ ხანონში ცვლილებებს 1-ლი მოსმენით მხარი დაუჭირა



უმაღლესი განათლების შესახებ“ ხანონში ცვლილებები შედის, რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მართვის ორგანოების საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის სისტემა დაიხვეწება.

კანონპროექტი 31 მარტს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს.

„კანონპროექტი 3 თვეზე მეტია მუშავდებოდა, მე მქონდა ძალიან ინტენსიური შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებთან, „აუდიტორია 115“-თან. კანონპროექტი პრინციპების დონეზე არის შეჯერებული 7 სხვადასხვა კედრის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობებთან და სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან“, – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშმა.

მისი თქმით, კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებათა 4 ძირითად ბლოკს: პირველი ბლოკის მიხანია ვველა სტუდენტს მიენიჭოს უფლება პირდაპირი წესით იქნეს არჩეული არა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობით საბჭოში – სენატში, არამედ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის – ფაკულტატურ საბჭოშიც.

მეორე ბლოკის მიხედვით, უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის ვველა სტუდენტს – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის – მიეცემა უფლება არჩეული იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭოში პროპორციული გადანაწილების წესით (მაგრამ არანაკლებ ერთი წარმომადგენლისა).

მესამე ბლოკის მიხედვით, ვველა სტუდენტს მიენიჭება უფლება თანაბარი წვდომა ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე ინდივიდუალური ან/და ერთობლივი სტუდენტური ინიციატივების განხორციელების მიზნით.

მეოთხე ბლოკით, სტუდენტთა მთავარი წარმომადგენლობითი გაერთიანებების ალტერნატივების ზოგადი დეფინიციების, მიხნებისა და არჩევის წესის დეტალური

განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე უნდა მოხდეს.

მარიამ ჯაშმა განაცხადებით, კანონპროექტის შემუშავების პროცესში განხილული იქნა 20 ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ეროვნული და მუნიციპალური კანონმდებლობებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე მოქმედი რეგულაციები. მარიამ ჯაშმა მადლობა გადაუხადა იმ სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც კონსტრუქციულად იყვნენ ჩართული კანონპროექტის შემუშავების პროცესში. „ამ ცვლილებების შემდეგ, სტუდენტებთან ჩვენი აქტიური თანამშრომლობა არ სრულდება. პირიქით, მე ვთხოვე თითოეული სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს, რომ უფრო აქტიურად იყოს ჩართული შინაარსობრივი ასპექტების განხილვაში უმაღლესი განათლების ხარისხთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენთვის შემდგომი ინიციატივების საფუძველი გახდება“, – აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

ცვლილებათა პროექტი პარლამენტში 7 მარტს დარეგისტრირდა, რის შემდეგაც სტუდენტურმა მოძრაობამ „აუდიტორია 115-მა“ უნივერსიტეტის VI კორპუსი დატოვა. სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-მა“ პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტის VI კორპუსი 2016 წლის 23 ნოემბერს დაიკავა. მოძრაობის წევრები აცხადებდნენ, რომ უნივერსიტეტის კორპუსს იქამდე არ დატოვებდნენ, სანამ უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებათა პროექტი პარლამენტში არ დარეგისტრირდებოდა.

## აკადემიურ საბჭოში ყველა წევრი აირჩევა თანაბარი – 4 წლის ვადით

კომიტეტმა ასევე განიხილა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის, ვასილ გონაშვილის განმარტებით, კანონპროექტით მოწესრიგდება აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის ვადები. „ყველა წევრი აირჩევა თანაბარი ვადით – 4 წლის ვადით. ამით დაცული იქნება ყველა წევრის შორის თანასწორობა და გაუქმდება აკადემიური საბჭოს წევრთა ნაწილობრივი განახლების მექანიზმი“, – განაცხადა ვასილ გონაშვილმა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებას.

## საკანონმდებლო წინადადება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

კომიტეტმა განიხილა პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროფესიული კავშირის თავმჯდომარის, დენის დავითაშვილის განმარტებით, საკანონმდებლო წინადადებაში მოიხსნება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებისათვის ასაკობრივი შეზღუდვა.

„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებისათვის აღნიშნულ თანამდებობაზე 65 წლის მიღწევის შემდგომ შესაძლებელი იქნება მუშაობის გაგრძელება. არსებული ნორმით პროფესიული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს არ ეძლევათ საშუალება 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დაიკავონ დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობა და შეასრულონ თავიანთი უფლებამოსილება პროფესიულ განათლებაში რეფორმის განხორციელებლად“, – განაცხადა დენის დავითაშვილმა.

სხდომაზე აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტში მიმდინარე წელს იქნება წარმოდგენილი, რომლის განხილვისას მხედველობაში მიიღება შემოთავაზებული საკანონმდებლო წინადადება.

## ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმავალ მგზავრთა პირველ ნაკადს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, მთავრობის წევრებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის მიმართულების წარმატებული სტუდენტები და მეცნიერები შეუერთდნენ.



ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმავალ მგზავრთა პირველ ნაკადს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, მთავრობის წევრებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის მიმართულების წარმატებული სტუდენტები და მეცნიერები შეუერთდნენ.

უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მეთაური დელეგაციასთან ერთად სიმბოლური ვიზიტით 28 მარტს უძველესი ცივილიზაციის დედაქალაქს – ათენს და ევროპის პოლიტიკურ ცენტრს – ბრიუსელს ეწვია. „საქართველოსთვის შენგენის ზონის კარიბჭეს ათენი წარმოადგენს. პირველი უვიზო მიმოსვლა, სიმბოლურად, ათენ-

ში განვახორციელეთ. ესაა ნაბიჯი საქართველოს ევროპაში დასაბრუნებლად – იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი დაბრუნება“, – ამ სიტყვებით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართულ-ბერძნული კონფერენცია „საქართველო – ევროპიდან ევროპამდე“, რომელიც ათენის კაპოდისტრიას სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში გაიმართა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე.

პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებთან და მეცნიერებთან ერთად, ანტიკური არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ათენის აკროპოლისის კომპლექსი და პართენონის ტაძარი დაათვალიერა, ბრიუსელში კი ქალაქის ისტორიულ ნაწილს ეწვია.

## ახალი რუსულენოვანი სტუდენტები

ნაბო ობოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდენტთა კომპიუტერული რესურს-ცენტრი გაიხსნა. ახალ რესურსცენტრში არსებული 15 კომპიუტერით სტუდენტთა მცხოვრები 240-მდე სტუდენტი ისარგებლებს. აქვეა საპრეზენტაციო სივრცე, რომელიც პროექტორითა და ეკრანითაა აღჭურვილი. რესურსცენტრში სტუდენტები ინტერნეტით უფასოდ ისარგებლებენ.

„სტუდენტებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსცენტრის გახსნას, რადგან აქ მცხოვრებთა უმრავლესობას საშუალება არ აქვს საკუთარი კომპიუტერიდან ჰქონდეს წვდომა ელექტრონულ სასწავლო მასალებზე“, – გვითხრა იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გიორგი ზეჭალაშვილმა.

„ვაპირებთ ბიბლიოთეკის გახსნასაც, შედეგად სტუდენტებს აქვე მიეცემათ მეცადინეობის საშუალება. ჩატარდება კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები“, – აღნიშნა თსუ-ის სტუდენტთა კავშირის ხელმძღვანელმა ხაზა წაქაძემ.

თსუ-ის სტუდენტთა კავშირის რესურსცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი



შარვაშიძემ დაათვალიერა. რექტორმა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება დააანონსა.

„შთაბეჭდილება ძალიან მძიმეა, სტუდენტთა ძალიან ცუდი მდგომარეობაა. არის რამდენიმე ნათელი წერტილი, დანარჩენი ჩამონგრეულია, წყალი ჩამოდის და ცივა. კარგია, რომ რესურსცენტრი გაჩნდა, სამრეცხაო ოთახიც ნორმალურია, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ პირობებში ცხოვრება და სწავლართულია, ამიტომაც გაცილებით ბევრი უნდა გაკეთდეს, ვიდრე ამ ეტაპზე მოვახერხეთ“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ასევე, ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტური ქალაქის ორი კორპუსის დროებითი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ თანხმობა მიიღო. ამ დროისთვის გადმოცემის პროცესი მიმდინარეობს.

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები უნივერსიტეტიდან დაიწყო

1-ლი გვერდიდან

პრეტონია ბაროშვილი

## „ავტოკეფალია — 100 — ბიბლიოთეკის საგანძურში“

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკაში საეკლესიო ქართული წიგნების უმდიდრესი ფონდია დაცული, რომლის შესწავლას უნივერსიტეტულ მკვლევართა არაერთი პუბლიკაცია თუ მონოგრაფია მიეძღვნა. ბიბლიოთეკაში ინახება, ასევე, ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორეს პირადი წიგნების კოლექციაც, რომლის ნაწილიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო გამოცემები მაღალი პოლიგრაფიული ღირებულებით გამოირჩევიან. მათ შორის უნიკალურია 1629 წელს რომში გამოცემული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი – ქართული ანბანი ლოცვებითურთ, ასევე, რომში 1679 წელს გამოცემული ქართული ენის გრამატიკა, 1705 წელს მოსკოვში დასტამბული „დავითნი“, 1709 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი სახარება და სხვა. ექსპოზიციაზე, აგრეთვე, წარმოდგენილი იყო ავტოკეფალიის აღდგენის პროცესში მონაწილე იმ სასულიერო პირების (კირიონ II, ლეონიდე, კალისტრატე ცინცაძე, ამბროსი ხელაია, ილია II) ფოტოები და მათი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა დროს საქართველოს პატრიარქები გახდნენ. ბიბლიოთეკაში ინახება ის უნიკალური საარქივო ხელნაწერებიც, რომლებიც დოკუმენტურად ასახავენ 100 წლის წინ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით განვითარებულ რთულ პროცესს.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის ინფორმაციით, „გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნები და დოკუმენტური მასალა, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებშია დაცული, მათ შორის: ვახტანგის, არჩილის, ერეკლეს სტამბებში გამოცემული წიგნები და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს იმ პატრიარქების ნაქონი წიგნები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ავტოკეფალიასთან და უნივერსიტეტთან (პირველი კათოლიკოს-პატრიარქის – კირიონის ბიბლიოთეკა, კალისტრატე ცინცაძის მიერ საჩუქრად გადმოცემული წიგნები, კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ნაჩუქარი წიგნები), დამთავლიერებულ შესადარებლობას აძლევს – გაიხსენოს ქართული წიგნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები და პოლიგრაფიული ცენტრები, რომლებიც ფუნქციონირებდა და როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, სიმბოლურია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი



მიძღვნილი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საპატრიარქოში და პარლამენტში გაგრძელდება. „ავტოკეფალიის 100 წლის აღნიშვნა მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენი მუზეუმის და ბიბლიოთეკის საცავებში უნიკალური ლიტერატურა ინახება, რომელიც საუკუნეების წინ დაიბეჭდა სხვადასხვა სტამბაში. ეს ექსპოზიცია კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ავტოკეფალიის აღდგენას ჩვენი ქვეყნისთვის. XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გახდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჭვაკუთხედი, განმსაზღვრელი იმისა, თუ როგორი იქნებოდა საქართველოს მომავალი. გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მიერ ქართული ეკლესიის აღმშენებლობის პროცესის დაწყებით გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლა. ჩვენს უნივერსიტეტში მოწოდებული გამოფენა და სამეცნიერო კონფერენცია სწორედ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, სახელმწიფოებრიობის განვითარებაში ეკლესიის როლს, ავტოკეფალიისთვის მებრძოლი კათოლიკოს-პატრიარქების მოღვაწეობას ეძღვნება“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს მიეძღვნა ასევე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გამართული სამეცნიერო კონფერენცია, სადაც საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლების პროფესორებმა, დოქტორანტებმა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ამ მნიშვნელოვანი თემისადმი მიძღვნილი მოხსენებები წარმოადგინეს.

### ქართული საეკლესიო ცხოვრების 100 წელი და მეცნიერული გამოხმაურება

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც თსუ-ის პროფესორებმა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის შესახებ ისაუბრეს და მოხსენებები წარმოადგინეს. პლენარული სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, რომელმაც სამეცნიერო კონფერენციის თემატიკის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სახიზრო ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა თსუ-ის პროფესორების მოხსენებები: ქეთევან ნადირაძე – „მეცნიერება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის სამსახურში“; დიმიტრი შველიძე – „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის ისტორიიდან“; ზონდო კუპატაძე – სახელმწიფო-სა და ეკლესიის ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“; ირაკლი ბრაჭული – „უნივერსუმის ინტერპრეტაციის გზები: ეკლესია და უნივერსიტეტის იდეა“; თამარ შარაბე – „ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის“.

### მეცნიერება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის სამსახურში

„ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX ს-ის 40-იანი წლებიდან საიმართლო მიმართულება გამოიკვეთა: საეკლესიო ცხოვრების შესახებ არსებული წყაროების მოძიება, შეგროვება, შესწავლა და გამოცემა; შექმნილი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე ეკლესიის ისტორიის განმარტავებელი ნაშრომების შექმნა და ავტოკეფალისტთა მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა – შეესწავლა და ეწეოდა ქართული ეკლესიის ისტორია. ამავ დროს რჩებოდა საკითხისადმი ტრადიციული მიდგომა – საქართველოს ისტორია და, კერძოდ, ქართული უძველესი საისტორიო ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ განვერცოთ და გაემდიდრებინათ საეკლესიო ისტორიის საკითხებით.

XIX ს-ის ქართულ მეცნიერებაში ამგვარ მოვლენას იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. რუსეთში საქართველოს შეერთების შემდეგ (1801 წ.) გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოს. საქართველოში 1811 წ., დასა-

ლეთ საქართველოში 1814 წ.), რასაც მოჰყვა ადმინისტრაციულ-სტრუქტურული და ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებები. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაკეთდა. შედეგად ეკლესია თავის ისტორიულ ფუნქციას ერის ცხოვრებაში კარგავდა. ქართველი მეცნიერები ხედავდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მეცნიერული შესწავლის გზით, მისი ათასწლოვანი ისტორიის წარმოჩენას. ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1904-1905 წლებში, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარზე დაწინააღმდეგა სინოდის წინაშე დასვა საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ამ მოთხოვნამ რეალური საფუძველი შეიძინა მას შემდეგ, რაც თვით რუსეთში დაიწყო მოძრაობა რუსეთის ეკლესიის გათავისუფლებისათვის სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის გაგვინისაგან. მათი მოთხოვნა იყო პატრიარქობის აღდგენა და წმინდა სინოდის რეორგანიზაცია. ქართულმა სამღვდლოებამ სინოდის სხდომებზე აქტიურად დაიწყო ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ამ დროს შეიქმნა მრავალი გამოკვლევა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მეცნიერულად, ყველა არსებული წყაროს გამოყენებით გადმოცემა ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ისტორია და დაესაბუთებინათ მისი აღდგენის კანონიერება. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა კვლევებს ავტოკეფალიის პრობლემებზე, იმ ბრძოლაში, რომელსაც ქართული ეკლესია აწარმოებდა, რათა მსოფლიო ავტოკეფალურ ეკლესიებს ეცნოთ ქართველი ერის უფლებები“, – განაცხადა ქეთევან ნადირაძემ.

### საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის ისტორიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები

„როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას წინ უძღოდა ქართველი სამღვდლოების ენერგიული ბრძოლა საეკლესიო თავისუფლებისათვის. ავტოკეფალურ მოძრაობას მხარს უჭერდნენ საქართველოს გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი ძალები – თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი,



პოლიტიკური პარტიები. ისინი ითვალისწინებდნენ ქართველი სამღვდლოების დიდ გაგვინას ქვეყნის მოსახლეობაში და ცდილობდნენ ამ ფაქტორის ადეკვატურ გამოყენებას. სამწუხაროდ, რევოლუციურმა და ეროვნულ-რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ტერორის გზით სცადეს ავტოკეფალური მოძრაობის დახმარება. 1908 წლის 28 მაისს მათ მოკლეს საქართველოს მაშინდელი რუსი ეგზარქოსი არქიპისკოპოსი ნიკონი, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სასტიკი მოწინააღმდეგე გახლდათ. რუსეთის მონარქისტული ხელისუფლებას, მის სპეცსამსახურებს საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდათ, რომ ეგზარქოსის მკვლელობაში დაედასაშუალებინათ რევოლუციური პარტიები. ჟანდარმერიის მონაცემებით, ტერორისტული აქტი ჩაიდინა რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული დაჯგუფებიდან ან ამ პარტიის დაჯგუფების ქვეშ მყოფი ჯგუფებიდან ერთ-ერთმა. ჟანდარმერიას სერიოზული ეჭვი ჰქონდა აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი დაჯგუფების მიმართაც. იყვნენ სხვა ეჭვმიტანილი მხარეები და პიროვნებებიც. მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებამ თითქმის არც ერთი ეჭვმიტანილი არ დააპატიმრა და მათ მიმართ ძიება არ გააგრძელა. მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ბრალი ქართული ავტოკეფალისტებისათვის დაედო. მისი მიზანი იყო, როგორმე დაესუსტებინა ავტოკეფალური მოძრაობა. მართალია, ხელისუფლებამ ვერაფრით შეძლო შესაბამისი სამხედრო მოქმედება, მაგრამ მან მაინც ავტოკეფალური მოძრაობა დაადანაშაულა ეგზარქოსის ფიზიკურ მკვლელობაში თუ არა, მკვლელობის ინტელექტუალურ მომზადებაში. სწორედ ამ მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ თანამდებობებიდან გადააყენა ან რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაიყვანა ავტოკეფალური მოძრაობის ისეთი აღიარებული ლიდერები, როგორებიც

# BLOOMBERG-ის საერთაშორისო სკოლის ლაბორატორია თსუ-ში

თამარ ლალიანი

**თ**სუ-ში უკვე რამდენიმე თვეა წარმატებულად ფუნქციონირებს ბლუმბერგის (BLOOMBERG) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია. BLOOMBERG-ის საერთაშორისო კვლევითი ლაბორატორიის გახსნის იდეა თსუ-ის პროფესორს ემზარ ჯგერენაიას ეკუთვნის, მას მხარი დაუჭირა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. მოლაპარაკებები აღნიშნულ კომპანიასთან წარმატებით დასრულდა და დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტი – გადაიქცევა საერთაშორისო ფინანსური, სავალუტო და სასაქონლო ბაზრების სწავლების ცენტრად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სამხრეთ კავკასიაშიც.



„აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი პროგრამა გახსნილია მხოლოდ ჯანსაში, მეორეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

კომპანია BLOOMBERG-მა შექმნა სპეციალური დამხმარე პროგრამა პროფესიული უმაღლესი სასწავლებლებისათვის – BLOOMBERG EDUCATION, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტში პროფესიული „დილინგ რუმის“ შექმნას 12 ტერმინალის ბაზაზე. ეს უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს რეალურ რეჟიმში ასწავლოს სტუდენტებს საბირჟო ოპერაციების წარმოება და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში.

BLOOMBERG-ის პლატფორმის საშუალებით თსუ-ს ექნება პირდაპირი წვდომა მის ბაზაში არსებულ საერთაშორისო სავალუტო და სადღილინგო ოპერაციების სრულ ციკლთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და, ამავდროულად, შეასრულონ მსგავსი ოპერაციები რეალური დროის რეჟიმში.

BLOOMBERG-ის ლაბორატორიის წარმატებულ ფუნქციონირებას ის სამუშაოები განაპირობებს, რომელიც ლაბორატორიის ხელმძღვანე-

ლის, პროფესორ ემზარ ჯგერენაიასა და თანამშრომლების მიერ განხორციელდა. ლაბორატორიის რესურსებით, ქართულად ითარგმნა სხვადასხვა ბროშურა და სასწავლო მასალა, რომელიც ეხმარება სტუდენტებს სამუშაო პროცესსა და მასალის მარტივად ათვისებაში. პირველ რიგში ითარგმნა BMC სილაბუსი – შესავალი ფინანსებში B BLOOMBERG-ისგან. BMC (Bloomberg Market Concepts) არის კურსი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ბაზრების ინტერაქტიულ ინსტრუქციას. კურსი 4 მოდულისგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა ქვე-მოდულს. ძირითადი მოდულებია: ეკონომიკური ინდიკატორები, ვალუტები, ფიქსირებული შემოსავალი და აქციები.

ბროშურაში: „BLOOMBERG-ის ტერმინალის ძირითადი

კოდები და მათი მნიშვნელობა“ წარმოდგენილია BLOOMBERG-ის ტერმინალის 70 ყველაზე გავრცელებული ფუნქცია და მათი მნიშვნელობა. ხოლო ისეთი საკითხები, როგორცაა: პორტფელის მართვა; ანალიტიკური და გამოყენებითი კვლევები; ანალიტიკური ინფორმაციის ერთიანი წყარო განხილულია ბროშურაში: „BLOOMBERG განათლებისთვის – ცოდნა ძალაა“, სადაც მოცემულია ის უპირატესობები, რომელიც BLOOMBERG-ის ტერმინალს გააჩნია სხვადასხვა დისციპლინის შესწავლისას, მათ შორის: ბიზნეს-მენეჯმენტი; ბიზნესი და მარკეტინგი; ფინანსები; ეკონომიკა და მათემატიკა და სხვა.

სავაჭრო პლატფორმისა და ქსელის მიმოხილვას, ქსელის შექმნის ეტაპებს, იდეის გაგზავნა-მიღებასა და ტერმინალურ ანალიტიკას მოიცავს ბროშურა:

„სავაჭრო იდეის გამგზავნელი – (TMSG <GO> - პლატფორმის მიმოხილვა“), რომლის მეშვეობით შესაძლებელია სავაჭრო იდეების წარდგენა-გაგზავნა. TMSG <GO>-ის მეშვეობით იდეები დაუყოვნებლივ მიეწოდება მათ, ვისაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდებათ.

BLOOMBERG-ის ლაბორატორიის მიერ შემუშავდა ასევე გზამკვლევი ლექტორების დასახმარებლად, რათა BLOOMBERG-ის პლატფორმის გამოყენებით შეიქმნას საინვესტიციო შეჯიბრი საგანმანათლებლო გარემოში, რათა სწორად განისაზღვროს შეთავაზებული სავაჭრო იდეები, TMSG (სავაჭრო გზამკვლევი).

ლაბორატორიის გახსნიდან დღემდე თსუ-ის პროფესორებისთვის ჩატარდა 3 შეხვედრა, სადაც მოხდა მათთვის ლაბორატორიის მნიშვნელობისა და მისი სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობების გაცნობა. პროფესორებისთვის ასევე ჩატარდა ტრენინგები ტერმინალის ფუნქციების გასაცნობად.

თსუ-ის პროფესორების გამართულ შეხვედრაზე BLOOMBERG-ის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ პროფესორებს გააცნო ის შესაძლებლობები, რაც BLOOMBERG-ის ტერმინალს აქვს, შეხვედრაზე განიხილეს ისეთი საკითხები როგორცაა – ტერმინალის სასწავლო პროცესში გამოყენება, ტერმინალის სასწავლო მასალების სხვადასხვა დისციპლინის სილაბუსში შეტანა, BMC-ის კურსების მნიშვნელობა პროფესორებისთვის და სხვა.

BLOOMBERG-ის ლონდონის სათაო ოფისის წარმომადგენლებმა: ალექსანდრე არტიმოვი და დიანა ოსმანოვიჩა ჩაატარეს ტრენინგი ლაბორატორიის ტრენერებისა და თსუ-ის პროფესორებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ BLOOMBERG-ის საუნივერსიტეტო ლაბორატორიაში თსუ-ის სტუდენტებისთვის ტრენინგებზე დასწრება და თავისუფალი საათების დროს ტერმინალის გამოყენება უფასოა.

დღეის მდგომარეობით, სტაჟირება გაიარა 596-მა ბა-

კალავრის სტუდენტმა, 102-მა მაგისტრანტმა და 8 დოქტორანტმა. შექმნილია 10 სამუშაო გეგმა.

ინტენსიური ტრენინგების შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტები რეგისტრირდებიან Bloomberg Market Concept-ის (BMC) ონლაინ კურსზე, რომლის გავლის შემდეგ იღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს. გასულ წელს BMC კურსზე დარეგისტრირებული იყო და ონლაინ კურსები გაიარა 35 სტუდენტმა, მათგან სამმა სტუდენტმა უკვე აიღო სერტიფიკატი. გარდა ამისა, 2017 წლიდან სერტიფიკატის აღებაზე განცხადება გაკეთებულია 167 სუბიექტის მხრიდან.

გარდა გეგმიური ტრენინგებისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ტერმინალის ინდივიდუალური მუშაობისთვის. დამოუკიდებელი მუშაობისთვის ლაბორატორიაში გამოყოფილია 15 საათი კვირაში, რომლის განმავლობაშიც თსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს, ისევე როგორც დოქტორანტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ BLOOMBERG-ის ტერმინალებით, მისი ინფორმაციული ბაზითა და ანალიტიკური ფუნქციებით.


„აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი პროგრამა გახსნილია მხოლოდ ჯანსაში, მეორეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, პროგრამა საკმაოდ სრულყოფილი, დახვეწილი და ძვირადღირებულია. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უკვე თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ რეალურ ლაბორატორიებში დაეუფლებიან ცოდნას და შეძლებენ ამ ცოდნის ტესტირებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოქვეყნებას“, – აღნიშნა პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ. მან მადლობა გადაუხადა BLOOMBERG-ის ხელმძღვანელობას ასეთი ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და თსუ-ის ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის.

## ქართული პროგრამისტების წარმატება „GOOGLE-ის ჩემპიონატი“



მაია ტორაძე

**მ**არტის დასაწყისში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში უკვე მეოთხედ ჩატარდა შეჯიბრი სტუდენტებისა და პროფესიონალი პროგრამისტებისთვის სახელწოდებით – „Hash Code“, რომელშიც საქართველოს გუნდმა – „All In“ მეორე ადგილი დაიკავა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ნიკა ჯიმშელიაშვილი, გიორგი სალინაძე, ირაკლი მერაბიშვილი, აკაკი მამაგვიშვილი. მათგან სამი - ნიკა ჯიმშელიაშვილი, გიორგი სალინაძე და აკაკი



მამაგვიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

გუნდი პირველ აპრილს პარიზში დასკვნით ტურში მიიღებს მონაწილეობას სხვა 50 გუნდთან ერთად.

გუნდის ლიდერის, ზაზა გამეზარდაშვილის თქმით, ეს არის უპრეცედენტო შედეგი, რადგან „All In“-მა უკან ჩამოიტოვა 2815 გუნდი, რომელთა შემადგენლობაშიც 26 ათასამდე პროფესიონალი იყო გაერთიანებული.

აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ მონაწილეებს ამოსახსნელად ეძლევათ რეალური ამოცანა, რომელიც „გუგლის“ სამუშაო პრაქტიკიდან მომდინარეობს. წლებადელი ამოცანა, რომელზეც ამონახსნი ჩემპიონატის მონაწილეებს უნდა დაედოთ, ასე გამოიყურებოდა:

„თანამედროვე მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება. შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი ადამიანი უჭურებს ვიდეოებს ონლაინში, ასევე იზრდება ვიდეოების ფაილების ზომებიც. შესაბამისად, ისეთი საიტებისთვის, რომლებიც ვიდეოებს აწვდიან მომხმარებლებს (მაგალითად, Youtube) ძალიან მნიშვნელოვანია, რომ


ვიდეოების მიწოდების ინფრასტრუქტურა იყოს სწრაფი და საიმედო. ამისათვის, როგორც წესი, იყენებენ ქმ-სერვერებს, რომლებზეც ინახავენ ხშირად მოთხოვნი ვიდეოების ასლებს. როდესაც ვიდეოს ნახვაზე შემოდის მოთხოვნა, შესაძლებელია მომხმარებელს ეს ვიდეო მიეწოდოს პირდაპირ ვიდეოების ცენტრალური საცავიდან. მაგრამ ცენტრალური საცავი შეიძლება ათასობით კილომეტრით იყოს დაშორებული მომხმარებლის ადგილმდებარეობიდან და გამოიწვიოს ვიდეოს მიწოდების

# ელდარ შენგელაიას უნივერსიტეტის უაღლესი ჯილდო გადაეცა

შარტხია ბაროშვილი

**„რომ არა ელდარ შენგელაიას ფილმები, ქართველი ხალხი არ იქნებოდა ისეთი, როგორც დღეს არის და და ვერც იმას გაიგებდა, რომ „სიყვარული ვერტიკალურია და, თანაც, ბრუნვადი!...“**

– ამ სიტყვებით გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი კინორეჟისორთან ელდარ შენგელაიასთან შეხვედრა, რომელსაც საუნივერსიტეტო საზოგადოება, რეჟისორის მეგობრები და სტუდენტები ესწრებოდნენ. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ელდარ შენგელაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიით დააჯილდოვა. „იშვინა საქართველოში ადამიანი, რომელსაც ხალხის ასეთი სიყვარული სიცოცხლეშივე ერგო, ასეთი გამონაკლისი არის ბატონი ელდარი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოხელოვნების კათედრას, ამიტომ, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მას უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო გადაეცემა“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.



ერთად დავდიოდით „პიონერთა სასახლეში“, ერთად ვსწავლობდით და ვმუშაობდით კინოსტუდიაში. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც ელდარ შენგელაიამ გააკეთა, გმირობის ტოლფასი იყო, როგორც შემოქმედებითი, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით. ის პერსონაჟები, რომლებიც მან შექმნა, „უკვდავები“ არიან – ისინი საქართველოში იყვნენ, არიან და, ალბათ, კიდევ იქნებიან. ელდარ შენგელაია იყო პირველი რეჟისორი, რომელმაც კინემატოგრაფიაში ახალი ყანრი და იგავური ენა შემოიტანა და საბჭოთა რეჟისორებს დაუპირისპირდა. მაშინ, როდესაც სიმართლის თქმა შეუძლებელი იყო, მან მონახა გზა, როგორ ეთქვა სიმართლე. ფილმში – „ცისფერი მთები“ – ელდარ შენგელაიამ გროტესკის, ირონიის, სარკაზმის საშუალებით დაგვიხატა, თუ რა აბსურდი იყო საბჭოთა სისტემა – ეს ფილმი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: მართლაც, მალე ჩამოიშალა და დაინგრა საბჭოთა კავშირი. საზოგადოებრივი გმირობა გამოავლინა მან ასევე 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებითაც, რო-

დესაც მოსკოვში ჩაიტანა და გორბაჩოვს თვალწინ „ააფარა“ იმ საშინელი ტრაგედიის ამსახველი კადრები, რომელიც ჩუმად გადაიღეს ახალგაზრდებმა. მნიშვნელოვანია, რომ რეჟისორთან შეხვედრის იდეა ახალგაზრდებს ეკუთვნით, რაც იმის დასტურია, რომ მისი შემოქმედება დღესაც აქტუალურია და ინტერესს არ კარგავს“, – აღნიშნა მერაბ კოკიაშვილმა.

რეჟისორის შემოქმედებაზე ისაუბრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა: „ელდარ შენგელაია იმ იშვიათ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც სიცოცხლეშივე დაიმსახურა გენიალური შემოქმედის სახელი. არ მოიძებნება საქართველოში ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ენახოს მისი კინოშედეგები და მისი გმირების ცხოვრებით არ ეცხოვროს. იგი სრულიად გამორჩეული ხელოვანია. არავის ჰგავს! მისი შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა ჰუმანიზმია... მას უყვარს თავისი გმირები და ის ხალხი, ვისთვისაც ამ კინოშედეგებს ჰქმნის. იგი სიღრმის-

ეულად ჩასწვდა ქართველი კაცის სულს, მის ბუნებასა და ხასიათს. ჩვენ დღესაც გვაოცებს მისი მხატვრული სამყარო, გვაოცებენ მისი პერსონაჟები. თუ ცხოვრება კინოა, რომელსაც რეჟისორი მართავს, მაშინ კინოც ცხოვრებაა, რომელსაც გენიალური რეჟისორები მართავენ. ელდარ შენგელაია მრავალი ჯილდოს მფლობელია. იგი გამორჩეული ბედის მქონე რეჟისორია. რომ არ ყოფილიყო ელდარ შენგელაია, ქართული ხელოვნება არ იქნებოდა ისეთი, როგორც დღესაა, ამისთვის მადლობა მას!“, – მიმართა რეჟისორს ნანა გაფრინდაშვილმა.

რეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ ელდარ შენგელაიას განვლილ შემოქმედებით გზაზე ისაუბრა: „რჩეულთა ხვედრია ის, რომ იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ელდარ შენგელაიას შექმნილი პერსონაჟების რეპლიკები და გამოთქმები ჩვენს სასაუბრო ენად იქცა. თუ მართლა ვინმეს შეიძლება ვუწოდოთ სახალხო შემოქმედი, ეს, პირველ რიგში, ელდარ შენგელაიაა. ჩვენ ერთად გავლიეთ ცხოვრება... იგი ჩემი თანამოაზრე იყო ყოველთვის – ჩვენი იდეები და მსოფლმხედველობა ერთმანეთს ემთხვეოდა. ერთად ვიბრძოდით საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, სადაც წარმოუდგენლად ძნელი იყო ცხოვრება და, მით უფრო, შენი სათქმელის მიტანა მაყურებელამდე. მიუხედავად ამისა, მან ეს მოახერხა. დღეს ყველასთვის წარმოუდგენელია, რომ „შერეკილები“ არ იყვნენ ჩვენს ცხოვრებაში, რადგან მათ გარეშე უფერული იქნებოდა ცხოვრება. ახალგაზრდებს მივნიშნავ, რომ ცხოვრება

დანაკარგების ჯაჭვია და რაც მეტ ხანს ცხოვრობ, მეტ რამეს და მეტ ვინმეს კარგავ; ცხოვრება მუდმივი განსაცდელია, მაგრამ მთავარია, როგორ გადაურჩები ამ ტკივილს. თუ მოახერხებ ის, რომ არ გახდი გულგრილი, ან შენთვის სულ ერთი არ არის, როგორ მიდის ცხოვრება და, რაც მთავარია, თუ არ გაბოროტდი, მაშინ დიდი ადამიანი ხარ. ასეთი დიდი ადამიანია ელდარ შენგელაია“, – მიმართა ლანა ლოლობერიძემ სტუდენტებს.

უნივერსიტეტის სალამოხე ნაჩვენები იყო ნაწევრები მისი ფილმებიდან, აგრეთვე, ახალი ფილმის („სავარძელი“) ტრეილერი, რომლის პრემიერაც ახლახან გაიმართა. ელდარ შენგელაიამ სტუდენტებს თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისზე, ქართული კინოს ფერომწევე, მისი განვითარების გზებზე და პრობლემებზე ესაუბრა და გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას: „ივანე ჯავახიშვილის მედალი ჩემთვის დიდი ჯილდოა, ბედნიერი ვარ. ახალგაზრდებთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი მომავალი საიმედო ხელშია. მიხარია, რომ უნივერსიტეტში ასე აფასებენ ჩემს შემოქმედებას“, – განაცხადა ელდარ შენგელაიამ.



სალამოს უძღვებოდა ცნობილი კინორეჟისორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ტელეკინო-ხელოვნების კათედრის ხელმძღვანელი მერაბ კოკიაშვილი, რომელმაც მეგობართან ერთად გატარებული წლებიც გაიხსენა: „ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ.

## ქართული პროგრამისტების წარმატება „GOOGLE-ის ჩემპიონატი

გა-5 გვ-და

შეფერხება. ამიტომ ბევრად უკეთესია თუ ამ ვიდეოს მივაწვდით მომხმარებელს მასთან გეოგრაფიულად ახლოს მყოფი ქვე-სერვერიდან. რადგანაც ქვე-სერვერები შეზღუდული რაოდენობის ინფორმაციას ინახავენ, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რომელ სერვერზე რომელ ვიდეოს განათავსებ. ამოცანაში მოცემულია ქვე სერვერები, თითოეული გეოგრაფიული რეგიონისთვის ვიცით სავარაუდოდ რომელი ტიპის რამდენი ვიდეოს უურების მოთხოვნა შემოვა დღეში. ასევე ვიცით – რომელ გეო-

გრაფიულ რეგიონს რომელი ქვე-სერვერებიდან შეუძლია ინფორმაციის წამოღება და რამდენად სწრაფად მოაქვს ინფორმაცია. ამოცანის მიზანია ისე განვათავსოთ ვიდეოები ქვე-სერვერებზე, რომ ვიდეოს საშუალო მიწოდების დრო რაც შეიძლება შევამციროთ“.

**ზაზა გამეზარდაშვილი, გუნდის ლიდერი:**

– კომპანია „გუგლის“ პარიზის ოფისი წელს მეოთხედ ატარებს შეჯიბრს სტუდენტებსა და პროფესიონალებს პროგრამისტებისთვის სახელწოდებით „Hash Code“. პირველი ორი შეჯიბრი საფრანგეთის მასშტაბით ჩატარდა. შარშან

და წელს კი მასში მონაწილეობის მიღება შეუძლოთ ევროპის, აფრიკის და შუა აზიის ქვეყნების პროგრამისტებს. შეჯიბრი გუნდურია და თითოეული გუნდი არაუმეტეს 4 წევრისაგან უნდა შედგებოდეს. გამარჯვებულთა გამოსავლენად ჯერ ონლაინ-ტური ტარდება, რის შემდეგაც საუკეთესო 50 შედეგის მქონე გუნდი პარიზში იკრიბება და იქ უკვე ფინალურ ტურში ეპაექრებიან ერთმანეთს. შარშანდელ შეჯიბრში 1054 გუნდი ჩაება, ხოლო ფინალში 52 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ერთი ქართული გუნდიც იყო (გიორგი სალინაძე, ალექსანდრე აზიზიანი, ალექსანდრე ცხოვრებოვი,

გიორგი ნიშნიანიძე), რომელმაც საბოლოოდ მე-11 ადგილი დაიკავა.

კიდევ უფრო მასშტაბური აღმოჩნდა წლებანდელი შეჯიბრი – ონლაინ-ტურში 2815 გუნდი მონაწილეობდა, ამიტომ უფრო მეტად სასიხარულოა ქართველი პროგრამისტების შედეგიც. გუნდმა „All In“ (ნიკა ჯიმშელიაშვილი, გიორგი სალინაძე, ირაკლი მერაბიშვილი, აკაკი მამაგვიშვილი) მეორე შედეგი აჩვენა და სულ მცირედით ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულს. საგულეობსმთა, რომ ქართველებმა აჯობეს გუნდს, რომელშიც ლეგენდარული ბელორუსი პროგრამისტი გენადი კოროტკევიჩი გამოდის (გენადი



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია მოსწავლეთა შორის და ორგზის ჩემპიონი – სტუდენტთა შორის). არც სხვა ქართული გუნდები გამოსულან ურიგოდ: 4 მათგანა მოხვდა საუკეთესო 300 გუნდს შორის“.


დამატებით უნდა ითქვას, რომ გიორგი სალინაძე არის პროგრამისტი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და თავისუფალ უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ნიკა ჯიმშელიაშვილი ამერიკულ კომპანია MEMSQL-ში მუშაობს, ირაკლი მერაბიშვილი – „საქართველოს ბანკში“, ხოლო აკაკი მამაგვიშვილი Swiss Federal Institute of Technology-ის დოქტორანტი.



# მერაბ კოკოჩაშვილი: აუცილებლად უნდა გქონდეს წინააღმდეგობა, რომ ის გაანზრდოს და როცა მას ანზრევს, ესაა ბედნიერება

მანია ტორაძე

**21** მარტს ცნობილი რეჟისორის, საზოგადო მოღვაწისა და პროფესორის მერაბ კოკოჩაშვილის 82 წელი შეუსრულდა. მერაბ კოკოჩაშვილზე ახალი რა უნდა თქვა – მასზე დაწერილი – როგორც დიდი რეჟისორისა და დიდებული ადამიანზე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირ შთამომავალზე, როგორც დიდებული პიროვნებასა და მასწავლებელზე... თუმცა მასთან შეხვედრა იმდენად გავსებს თავისი სისადავითა და უბრალოებით, ამბებითა და მოგონებებით, გგონია, რომ პირველად ისმენ უკვე მოსმენილსა და წაკითხულს.



მერაბ კოკოჩაშვილი

ცხოვრობდა გენიალური მსახიობი უშანგი ჩხეიძე, სადაც ძალიან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი მსახიობები, მათ შორის ვერცხო ანჯაფარიძე და მერი დავითაშვილი. ალბათ მათი რეჟიმენდაცით მოხვდა 6 წლის მერაბი კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ გადასაღებ მოედანზე – მან პატარა (პატარაობაში) როლი შეასრულა (ალბათ ყველას გვახსოვს ეპიზოდი, როცა სააკაძე თავდაზნაურობას ისრების მაგალითზე უჩვენებს ერთიანობის აუცილებლობას). შემდგომ მოგონებებში ბატონი მერაბი იხსენებდა, რომ სადაც უფრო მოჭრა – „პატარა თავი უნდა მოჭრანო“ და ეს გადაღებები მისთვის ცოტა ხანი კომპარადაც იქცა, სანამ კარგად არ დარწმუნდა, რომ მის თავს საფრთხე არ ელოდა. არავინ იცის, შესაძლოა, ქვეყნებში უნდა, სწორედ მაშინ „დაავადდა“ კინოს დიდებულებით... თუმცა, ვიდრე მას მიუახლოვდებოდა, კიდევ ერთი მცდელობა ჰქონდა ხელოვნებაში დამკვიდრებისა: „კარგი კლასი მუცხა – ჩემი ოთხი კლასელი რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდა, ერთი – ლომერ ახვლედიანი – ლენინური პრემიის ლაურეატი (მაშინ ეს ყველაზე დიდი ჯილდო გახლდათ). ასევე ჩემს კლასში სწავლობდა კანდიდ ჩარკვიანის უფროსი ვაჟი – მერაბი, და ალბათ, ამიტომ განსაკუთრებულად „გვივლიდნენ“. კლასში სადაც ვსწავლობდი, ძალიან ბევრი საბჭოთა ლიდერის ფოტო ეკიდა. მეორე კლასში ვიყავით, როცა დაგვაგაღეს, რომ ლექსი დაგვეწერა. მე ბერიაზე დავწერე. საღამოს დედა გვიან მოდიოდა ხოლმე, ორ ადგილზე მუშაობდა და იმდენად მიხაროდა ლექსი რომ დავწერე, გვიანობამდე არ დავვიძინე, დაველოდე. როგორც კი დედა შემოვიდა, მივახარე – ლექსი დავწერე-მეთქი... წაიკითხა, შემომხედა და მკაცრად მითხრა: არ გავიგო, მეორედ ლექსი დაწერო. ასე დასრულდა ჩემი გამოცდების მცდელობა...“ ამბობს დიმილით და იხსენებს, რომ, დედას ძალიან სურდა მამის გზას გაჰყოლოდა: „მისი ნაქონი ვიოლინოც კი მომცა, მაგრამ ჰირივით მეხარებოდა მეცადინეობა და მეოთხე კლასში რომ ჩავრჩი, მითხრა – კისერიც გიტეხია, რაც გინდა ის გააკეთე... ჰოდა გავაკეთე – კინო ავირჩიე“, – ამბობს იგი.

ეს არჩევანი კი ბედნიერი დამთხვევა იყო.

## პირველი ნაბიჯები კინორეჟისურაში

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 50-იან წლებში, კინოინდუსტრიაში დიდი ცვლილებების ხანა დაიწყო, რამაც ქართულ კინოზეც მოახდინა გავლენა. ამ დროს წარმოიჩინდნენ სწორედ ახალგაზრდა რეჟისორები რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია, თამაზ მელიაძე და სხვები... ბატონი მერაბიც ამ თაობას მიეკუთვნება.

მერაბ კოკოჩაშვილი დაიბადა 1935 წლის 21 მარტს. 1961 წელს დაამთავრა მოსკოვის საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კინოსაპარაპედიკოსო ფაკულტეტი (გრიგორი შირაკოვის სახელობა). იყო საპარაპედიკოსო ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი 1976 წლიდან მისი არსებობის პერიოდში – 2005 წლამდე. 1989 წლიდან არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ფაკულტეტის პედაგოგი. 1993 წლიდან 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა კინოს ენისა და სტრუქტურული კვლევის ლაბორატორიას. ამჟამად არის ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირის – „ახალი სტუდია“ – დაფუძნებელი და დირექტორი. საპარაპედიკოსო სახელმწიფო არტისტი (1986 წ.), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1978 წ.).

გადაღებული ფილმები: „გიორგი სააკაძე“ (პატარა მცირეწლოვნობისა), 1943 წ.; „არ იღარღო“ (პორტრეტი იხსენალი), 1968 წ.; „მწვერვალი“ (თემატიკა), 1976 წ.

არის 6 ფილმის სცენარის ავტორი და ორი ფილმის პროდუსერი;

გადაღებული აქვს ფილმები: „კარდაკარ“ (1960); „არდადეგა“ (1962 წ.); „მისა“ (1965 წ.); „დიდი მწვენი ვალი“ (1967 წ.); „გზა მშვიდობისა, ჯაჟო“ (1973 წ.); „მწვერვალი“ (1976 წ.); „გზა“ (დოკუმენტური; 1976 წ.); „ცხელი ზაფხული სანი ღლი“ (1981 წ.); „ნუცას სკოლა“ (2000 წ.); „პარიცა“ „ოტელის“ თემაზე“ (2003 წ.); „უსუი“ (2005 წ.); „თუ დაბრუნდები, იარაღიანი“ (დოკუმენტური; 2006 წ.); „პარტიული მამულში იპოვი-ტოვი“ (დოკუმენტური; 2007 წ.); „სახლი სინარული“ (დოკუმენტური; 2008 წ.); „ღვინის აკვანი“ (დოკუმენტური; 2011 წ.); „ივანე ჯავახიშვილი“ (დოკუმენტური; 2016 წ.).

ამბობს, რომ კინო მისი გადაწყვეტილება იყო, რადგან ამ პერიოდში ახალგაზრდობა სწორედ კინოფილმებით სულდგმულობდა და გაჩნდა შესაძლებლობა, კინოკრანებზე წამოეწიათ ერთგული ხასიათების მატარებელი გმირები და რეალობა, რომელიც აღარ იფარებოდა დავარცხნილი, გამოგონილი სამყაროთი.

კითხვაზე, კონკრეტული სათქმელით მოვიდა თუ არა კინოში, თავმდაბლად პასუხობს, რომ არა – რადგან ჯერ იმდენად ახალგაზრდა იყო, ვერ აცნობიერებდა, სათქმელი ჰქონდა თუ უბრალოდ მოსწონდა... ან უყვარდა...

რეჟისორი ხელოვნებას „ვიკიში“ (კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი მოსკოვში) დაუფლა. ერთერთ საკურსო ნამუშევრად კი ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“ აირჩია. 1960 წელს სწორედ ამ ფილმზე წერდა აკაკი ბაქრაძე: „თუ რეჟისორს შეუძლია ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში დამალული კინემატოგრაფიული ბის აღმოჩენა, მაშინ თითქმის ყოველი ჭეშმარიტი (ამ სიტყვას ხაზს უსვამ, რადგან ზოგჯერ ლიტერატურად მაკულატურა სადღება) ლიტერატურული ქმნილება ალამბარაკდება კინოს ენაზე. სტანდარტული კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, ვაჟას „ხმელი წიფელი“ არაკინემატოგრაფიული ნაწარმოებია, მაგრამ რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა გადაიღო იგი და კარგი ფილმი გამოვიდა“ (ვახუთი „თბილისი“, 26. 02.1960 წ.).

ეს იყო პირველი და წარმატებული ნაბიჯი, თუმცა ყველაფერი ასეთივე წარმატებით არ გაგრძელდა...

## ნარუმატებლობა, რომელმაც ნარმატება განაპირობა

1959 წელს მერაბ კოკოჩაშვილმა დიპლომისთვის მზადება დაიწყო და შეარჩია კიდევ მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა „მუსუსი“, მაგრამ სცენარი დაიწუნეს – მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა ანტიეროვნულია და მისი გმირები ისე არ იქცევიან, როგორც ქართველობას შეეფერება... თემაზე ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. მაშინ შესთავაზა თურმე რეზო თაბუკაშვილმა – ოთარ აბესაძე იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს „კარდაკარ“ (დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძის“ მიხედვით), მე შევავსებ სცენარს და ორივემ ერთად გადაიღეთ სრულმეტრაჟიანი ფილმი, დიპლომის გარეშე მაინც არ დარჩებო... დათანხმდა, გადაიღო, მაგრამ ფილმი წარუმატებელი გამოვიდა: „ეს ოთარის ფილმი უფრო იყო,

ვიდრე – ჩემი. მე გვიან ჩავერთე გადაღებაში. სცენარის ხელოვნურად გაწვლამ და ფილმის გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ფილმი ცუდი აღსაქმელი გახდა“, – ამბობს რეჟისორი და კითხვაზე, იმოქმედა თუ არა კრიტიკამ მასზე უარყოფითად, გულწრფელად პასუხობს – „ჩვენ თავდაც ვგრძობდით, რომ ფილმს ხარვეზები ჰქონდა. ამიტომ შევამოკლეთ და დიპლომი ამ ფორმით დავიცავით. ამ ფილმს თავისი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა – მასში შესანიშნავი სამსახიობო გუნდი მონაწილეობდა – გრიგოლ ტუაბლაძე, სესილია თაყაიშვილი, გიგოლა თალაკვაძე, ნინო ჩხეიძე... ფილმზე მუშაობამ ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა, ამდენად, არ ვფიქრობ, რომ მისი გადაღება შეცდომა იყო“.

აგრესიულად შეხვდნენ ასევე ფილმს „არდადეგები“, რომელიც რევაზ ინანიშვილის მოთხრობის – „სასაცილოს“ (და მისივე სცენარის) მიხედვითაა გადაღებული. ყველას გვახსოვს სრულიად უწყინარი ფილმი, რომელიც ქალაქელი ბავშვების ბუზიასთან სტუმრობას ეხება და რომელშიც შესანიშნავი სახე შექმნა გოგი გეგეჭკორმა (პედანტი მამა, რომელსაც სურს შვილებიც ასე გაზარდოს). სწორედ ამ ფილმის გამო საყვედურებით აავსეს მერაბ კოკოჩაშვილი – ფილმში არ არის პიონერთა ორგანიზაცია, რომელიც მამისა და შვილების კონფლიქტში ჩაეროდა...

დაახლოებით ორი წლის შემდეგ კინემატოგრაფიის მაღალ ეშელონებში სასიკეთო ძვრები მოხდა და „მიხას“ გადაღების საშუალებაც გაჩნდა. „კინოსტუდიაში მოვიდა ოთარ ჭინჭლაძე, რომელიც შემთხვევით შემხვდა და მკითხა, შენი სცენარი რომ დევეს კინოსტუდიაში, რატომ არ იღებ? წადი და გადაიღე, მითხრა... ასევე მისცეს უფლება ელდარ შენგელაიას, გადაეღო „მიქელა“ და გიორგი შენგელაიას და ბაადურ წულაძეს – „ჯილდო“ – იხსენებს ბატონი მერაბი და დასძენს, რომ „მიხას“ მის ფილმებში ყველაზე უფრო „სრულყოფილ და აწურობილ“ ფილმად მიიჩნია. ამასვე წერენ კრიტიკოსები სხვადასხვა გაზეთში. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ გურამ ასათიანის რეცენზია, რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა. იგი წერს: „ჩემი ფიქრით, კოკოჩაშვილის ამ ფილმშიც, როგორც „არდადეგებში“, არის სოფლური უოფა-ცხოვრების, ადამიანთა სადა ურთიერთდამოკიდებულების, ჯანმრთელი ზნეობის, მყარი ადათ-ჩვეულებების თავისებური აპოლოგია... ჩემთვის მთავარია, რომ მერაბ კოკოჩაშვილისთვის, როგორც ხელოვანისთვის, ეს თავისებური პოზიცია უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან ზიკდი მისცა რეჟისორს ნამდვილად საინტერესო, ცოცხალი სახეების შესაქმნელად“.



მერაბ კოკოჩაშვილი პატარა როლში ფილმიდან „გიორგი სააკაძე“

პერსონა

# მერაბ კოკოჩაშვილი: აუცილებლად უნდა გქონდეს წინააღმდეგობა, რომ ის გაანგრიო და როცა მას ანგრევ, ესაა ბედნიერება



კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“

მ-6 83-დავ

## „დიდი მწვანე ველი“

მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედების მწვერვალად მაინც „დიდი მწვანე ველი“ მიიჩნევა – ფილმი, რომელიც ცივილიზაციის კონფლიქტის მარადიულ დრამას ეხება. მისი გმირი – სოსანა თავისუფალი, საკუთარი სამყაროს მცველი ადამიანია, რომელიც გარემოცვასთან კონფლიქტში მარტო რჩება. ფილმი 1994 წელს პეხაროს საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში, რომელიც კინოს საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა, ყველა დროისა და ქვეყნის 100 საუკეთესო ფილმს შორის აჩვენეს. „დიდი მწვანე ველი“ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არსით, რომელიც არ იკარგება, რადგან დღესაც უყურებენ. ის პრობლემა, რომელიც იქ არის დასმული – ადამიანის და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება, ისეთი მუდმივი თემაა, რომელიც არ ძველდება. გარდა ამისა, ამ ფილმში შესანიშნავი მსახიობები დაკავდნენ – დოდო აბაშიძე, ლია კაპანაძე, მზია მალაქელიძე, – ამბობს ბატონი მერაბი.

თუ არ ჩავთვლით საბჭოთა ნომენკლატურის კაპრიზებს, ამ ფილმს ძალიან მაღალი შეფასება მოჰყვა ეკრანებზე გამოსვლისთანავე. მასზე წერდნენ: „ფილმის ავტორები არ ეძებენ იოლ გზებს, პრობლემების მარტივ გადაწყვეტას არ ესწრაფვიან. ისინი ფიქრობენ მთავარზე და არ ეშინიათ, რომ დასკვნა, შესაძლოა, არც ისეთი მარტივი იყოს, ვიდრე, არც ისე ოპტიმისტური, ხოლო კონცეფცია, არც მთლად „გამართული“. ცხოვრება რთულ კითხვებს სვამს და თანამედროვენი ცდილობენ, მათ უპასუხოთ... „დიდი მწვანე ველი“ კაცობრიობის ისტორიაში მრავალჯერ წარმოქმნილ სიტუაციებზე გვიანბნობს. ფილმის ავტორები რაიმეს იდეალიზაციას გარეშე შეეცადნენ, გაეანალიზებინათ ისტორიის მსვლელობით დასაღუპად განწირული მსოფლალქმის სისტემა და მასში აღმოაჩინეს ის, რაც არა მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს, არამედ ისიც, რასაც მიღება და გაფრთხილება სჭირდება. ეს არის უთუოდ ფილმის მთავარი ღირსება“ (რუსულად თიკანაძე, 1978).

გამოარჩევდა თუ არა თავად რეჟისორი ამ ფილმს სხვებისგან, რადგან ის ყველაზე წარმატებულია? ამ კითხვაზე ბატონ მერაბს სხვაგვარი პასუხი აქვს: „რომ გითხრათ „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ ან „ნუცას სკოლა“ ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის, არ ვიქნები მართალი, ან ვთქვათ, დოკუმენტური ფილმი „გზა“, რომელიც საქართველოს ისტორიაზეა... რაც შემდგომ ყველაფერი ჩავდე მათში“.

რეჟისორი თუ გამორჩეული ხელწერისა არ არის, დროთა დინებას ვერც ის და ვერც მისი ფილმი უძლებს. მერაბ კოკოჩაშვილის ყველა ფილმი გამოირ-

ჩევა ერთგვარი ბუნებრიობით, სისადავითა და რეალობის შეგრძნებით. მასთან ერთმანეთში ისეა გადაჯაჭვული მხატვრულობა და რეალურობა, თითქოს ვერც კი არჩევი. ცალკე თემა მსახიობთა შერჩევის თავისებურება... ხომ არის ფილმები, რომელთა გმირებსაც, შესაძლოა, სხვა მსახიობმაც გაართვას თავი, აქ თითქოს სოსანა ერთია და მას, დოდო აბაშიძის გარდა, სხვა ვერ ითამაშებდა...

„მეც ასე ვფიქრობ და კინომცოდნეებიც წერენ ამის შესახებ. ეს არის, ერთი მხრივ, რეალობა და მათში მოცემული ასოციაციები. სიმბოლიკა და პოეტურობა რეალობიდან გამომდინარე პრინციპებია. მეც მეჩვენება, რომ მსახიობის გარეშე ვერაფერს გვაკეთებ და თუ რამეს წერენ ჩემი ფილმების შესახებ, აუცილებლად ახსენებენ მსახიობებს და მათ ხასიათებს. მე სწორედ მათი ხასიათების საშუალებით ვცდილობ, რაღაც ვთქვა, ამის გარეშე ვერ ვმუშაობ. გარდა ამისა, პარალელურად ვცდილობ, ფილმში გარკვეული პოეტიკაც იყოს. მაგალითად, „მინაში“ არის კადრი, რომელშიც ორი ზვინი ერთდება... მე მინდა, რაც ჩემი სათქმელია, პოეტურ ხატად და სახედ დასრულდეს. თუ ვალწევ, ხომ კარგი...“, – ამბობს რეჟისორი და გახსენდება „დიდი მწვანე ველის“ ერთი ეპიზოდი, რომელშიც სოსანა, რომელიც ერთდროულად კარგავს ოჯახს, შვილს, ცოლს და საყვარელ საქმეს, ფაქტობრივად, მხეცდება – აუპატიურებს ცოლს და მერე, როგორც პირუტყვი, ძროხებთან ერთად ჩაეყუდება წყლის დასაღვავად... ესეც სიმბოლიკა – მარტოდ დარჩენილი, გამხეცებული ადამიანის სიმბოლო, რომელიც თითქოს მარცხდება ცივილიზაციასთან ბრძოლაში და ახალ ადგილს ეძებს იმ სიმშვიდის დასაბრუნებლად, რომელიც მას დიდ მწვანე ველზე ჰქონდა.

## კონოლოკუმენტალისტიკა

ბოლო დროს უნივერსიტეტის საზოგადოებამ ნახა მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც უკვე ჩაიწერა დოკუმენტალისტიკის ისტორიაში. ფილმი, რომელშიც რეჟისორი თავად არის მთხრობელი, დადის, ეძებს მასალებს ივანე ჯავახიშვილზე და ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოგვცემს ყველა დეტალს, რაც კი უდიდესი ქართველი მოღვაწის შესახებ მოგვეცემა...

ეს მეთოდი აქვს მას გამოყენებული დოკუმენტურ ფილმში „გზა“, რომელიც საქართველოს ისტორიის მოგვითხრობს. აქაც – ფილმის რეჟისორი თავად არის წამყვანი და მთხრობელი და „ამავე დროს შუამავალი მოხდევებული ინფორმაციისა და მათგან უფრო შორის. ის ყოველთვის და ყველგან ფიგურირებს, როგორც კადრში, ასევე კადრს გარეთ... იგი ფილმში სხვის მითითებებს

კი არ ასრულებს, თავად არის ავტორი და ამავე დროს ამ როლშიც გრძელდება მისთვის რეჟისორული თვითგამოხატვის პროცესი“ პაატა იაკაშვილი; „საკუთარი თავის ძიებაში“, უფროალი „საბჭოთა ხელოვნება“; 1985 წ.).

თანამონაწილეობა დოკუმენტურ ფილმში ავტორის სტილია – მერაბ კოკოჩაშვილი მაყურებელს არ ატყუებს – აჩვენებს მას, რომ რეჟისორი და კამერა, რომელიც ასევე ხშირად ფილმის მონაწილე, კადრს მიღმა არ დგანან: „არასოდეს ვმალავ, რომ კამერა ფილმის მონაწილეა; არ ვმალავ, რომ თუ მე ვმონაწილეობ, თვითონაც უნდა ვჩანდე. ჩემთვის დოკუმენტური ფილმი, მხოლოდ დოკუმენტი და ქრონიკის ფიქსირება კი არ არის, ეს არის ავტორის ჩარევით გაკეთებული ფილმი. ვფიქრობ, რომ ასე უფრო მართალი ვარ. თითქოს ყველა ფილმი ასეა გადაღებული – მეც ვჩანვარ და მეც რაღაცას ვეძებ იმასთან ერთად, რასაც კამერა აფიქსირებს. ჯავახიშვილიც ასეა – ჯავახიშვილის ცხოვრებას მე დავეძებ... „ღვინის აკვანში“ პირიქით, მე არა ვარ, მაგრამ კამერაა და გარდა ამისა, არიან ადამიანები, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი და ჯემალ ბალაშვილი, რომლებიც ღვინის შესახებ გვესაუბრებიან“, – ასე ამართლებს „ჩარევას“ დოკუმენტურ ფილმებში რეჟისორი, რომლის ნამუშევრებიც მუდმივად ინტერესს იწარჩენებს.

## პედაგოგი

იგი ახლა ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს – ახალგაზრდობას გადასცემს იმ გამოცდილებას, რაც წლების განმავლობაში დააგროვა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების ლაბორატორიას უდგას სათავეში. რომელი უფრო გადასწონის – რეჟისურა თუ პედაგოგობა, მერაბ კოკოჩაშვილისთვის ძნელი სათქმელია: „ორივე ავსებს ერთმანეთს... საქმე ისაა, რომ ახალგაზრდასთან ურთიერთობა არის ის, რაც შენ გკვებავს. ეს საუბრები არის არა მხოლოდ ლექცია და თეორიული საუბრები, არამედ ყოველთვის გადადის კონკრეტულ რეალობაში. აქედან გამომდინარე, ლექციები არის უწყვეტად ცოცხალი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა თაობის ადამიანი“, – ამბობს იგი და სიამაყით ასახელებს იმ სტუდენტებს, რომლებიც დღეს წარმატებით აგრძელებენ შემოქმედებით მუშაობას, მათ შორისაა თითბერიძე – მაგისტრანტი, რომელიც ამერიკაში სწავლობს და უკვე სამი ნამუშევრის ავტორია.

ქართულ და უცხოურ სასწავლო გარემოზე და ზოგადად კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე რეჟისორის თავისი მოსახრება აქვს და არც მალავს, რომ თუ ეს საკითხი სახელმწიფომ პრიორიტეტად არ აქცია, ცოტა ხანში მხოლოდ ისტორიულ დაგვირგვინებას თავმოყვრება: „იქ დიდ თანხებსაც იძლევიან გადასაღებად და მოთხოვნაც დიდია“, სინანულით ამ-

ბობს ბატონი მერაბი და ცდილობს ცოტა მაინც ჩაგვახედოს პრობლემაში, რომლის წინაშეც ქართული კულტურა და კინემატოგრაფი დგას: „ძალიან საინტერესო თაობა მოდის, მაგრამ ბოლო დროს იკლო მათმა რიცხვმა, ვისაც კინო აინტერესებს. საქმე ისაა, რომ რთული პროფესიაა, მასში ფულის დაბანდება არავის უნდა და ახალგაზრდებსაც ნაკლებად სჭერათ იმისა, რომ ისწავლიან და მოახერხებენ გადაღებას. შარშან, მაგალითად, თეატრისა და კინოს ინსტიტუტში სარეჟისოროზე მიღება საერთოდ არ იყო. ახლა ამბობენ, რომ 4 წელიწადში ერთხელ უნდა მივიღოთ, რადგან ბევრი რეჟისორი დაგროვდაო. ჩემი აზრით, ჰვეჯანამ კულტურას უნდა მიხედოს, ეს უნდა იყოს პრიორიტეტი. უამრავი რამაა გასაკეთებელი და ხელისუფლების მხრიდან უურადღებამისაქცევი. კინოსტუდია იმისთვის უნდა არსებობდეს, რომ ფილმებს იღებდეს, სხვა ამოცანა მას არ აქვს, მაგრამ სახელმწიფო ფულს არ გვაძლევს. ამიტომ ჩვენი ქონების საშუალებით უნდა ვიშოვოთ ფული, რომ გადავიღოთ. ეს სხვადასხვა გზით შეიძლება. მათ შორის, კინემატოგრაფიული საშუალებით ფულის შოვნის გზა არის იმ ფილმების ჩამოტანა და გაციფრულება, რომელიც მოსკოვის საცავებშია თავმოყრილი, რადგან საბჭოთა ფულით იყო გადაღებული. ეს რომ დავიბრუნოთ, სახელმწიფომ უნდა გაიღოს თანხა. 700 ფილმზეა ლაპარაკი (ფირზე გადაღებული). ეს არის ფილმები, რომელიც საზოგადოებამ უნდა ნახოს და ტელევიზიამ გამოიყენოს, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ჩვენი კინოსტორია და ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს“.


## რა არის ბედნიერება?

უყვარს თეატრი, მუსიკა და კითხვა. ახალგაზრდობაში მთებზე უყვარდა. ამბობს, პიონერთა სასახლეში ავიდგი ფეხი და კარგა ხანს გამყვა ალპინიზმის სიყვარული. შვილები ვერ გადმოიბირა – ორივე ქალიშვილი მუსიკოსია. მათ შორის ერთი ბელგიაში ცხოვრობს, მეორე – წინაპრების სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობს წინანდალში.

კითხვაზე – ბედნიერია თუ არა, დაფიქრებით მპასუხობს: „ეს იმასთან არის დაკავშირებული, თუ გიყვარს ვინმე ან რამე და ისინი შენ გარშემო არიან. დილაობთ რომ ვიღვიძებ, ვფიქრობ, ღმერთო როგორ მოახერხე ისე, რომ ის, რაც უბედურება იყო, ახალგაზრდა ასაკში ჩამომამოკრე და ისეთი ურთიერთობები მაქვს, რომ, თითქოს, კარგად ვარ. არის თუ არა ეს ბედნიერება, თქვენ განსაზღვრეთ.“

თუმცა ერთიც არის – როცა კარგად ხარ, ისე მშვიდდები, ვეღარ აკეთებ იმას, რაც ბრძოლით უნდა მოიპოვო. აუცილებლად უნდა გქონდეს წინააღმდეგობა, რომ ის გაანგრიო.

და როცა მას ანგრევ ესაა ბედნიერება...“.



მერაბ კოკოჩაშვილი და კახი კავსაძე



# საქართველო-საქართველო



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

## თსუ-ის მუზეუმი, როგორც უნივერსიტეტის ექსპოზიციის ინახავი, სტუდენტებს ელიან

**თ**ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალწელს ითვლის. ამ მრავალწელს მანძილზე ის ვითარდებოდა და სტუდენტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს საინტერესო და შემეცნებითი მასალებით უზრუნველყოფდა.

კავკასიის ნომერ პირველი უნივერსიტეტი თავის კედლებში არაერთ მუზეუმს აერთიანებს: არქეოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის, მინერალოგიის, პალეონტოლოგიის, უნივერსიტეტის ისტორიისა და ქართული ემიგრაციის მუზეუმს. ზოოლოგიისა და პალეონტოლოგიის მუზეუმები უნივერსიტეტის განივ (ბიოლოგიის) კორპუსში მდებარეობს. სამუშაოდ, მიუხედავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ამ უნიკალური ექსპონატებისა, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების გარკვეული ნაწილი მათ შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.



ექსპონატებს ათვალეირებინებს და დამატებით დეტალურ ინფორმაციებსაც აწვდის.

მუზეუმს, გარდა თბილისის მოსახლეობისა, რუსთავიდან, ფოთიდან, გორიდან, ხაშურიდან და სხვა ქალაქებიდანაც აკითხავენ. საუნივერსიტეტო კონფერენციების შემდეგ მას უცხოელი მეცნიერებიც ათვალეირებენ და ზოგი მათგანი აღნიშნავს, რომ მსგავსი ექსპონატები არ აქვთ. ექსპონატების დასათვალეირებლად საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც მოჰყავთ, რომლებსაც, თემატიკის მიხედვით, სხვადასხვა სახის ინფორმაციებსაც აწვდიან.

თსუ-ის ზოოლოგიის მუზეუმი, გარდა სასწავლო დანიშნულების ექსპონატებისა, ზოგად და მრავალფეროვან მასალას ინახავს. დამთვალეირებულს აქ შეუძლია ნახოს ბუჭმომთის თავის ქალა, აფრიკაში მოხინაძრე ანტილოპა „ორქისის“ რქებით, კენგურუს ჩონჩხი, ლომების ჩონჩხები. აქვე ნახავთ ტიბეტის ხობობს, რომელიც გაკეთებულია დავით სარაჯიშვილის ოჯახში. მუზეუმში წარმოდგენილია ფრინველთა უნიკალური კოლექცია, რომელიც მოიცავს საქართველოში ბინადარ და გადამფრენ ფრინველთა ყველა სახეობას – ხობობი, როჭო, გროლები, დურაჯი, კოდალა, ოფოფი... მოთავსებულია, ასევე, ფრინველები სხვადასხვა ქვეყნიდან – ინდოეთი, ჩინეთი...

განსაკუთრებული ექსპონატია უირაფი, რომელიც, დიდი ზომის გამო, უნივერსიტეტის III კორპუსიდან გადმოტანის დროს ძლიერ დაზიანდა და მასზე სამი რესტავრატორი მუშაობდა. ინახება შავი ზღვის ზვიგენი, ორბი, სვაგი... ასევე ტახი ლაგოდეხის ნაქრძალიდან, მაკაკა...

მუზეუმში, მცირე რაოდენობით, ბუდეებსაც ინახავთ. ის ინახავს ისეთ ექსპონატებსაც, როგორცაა ადამიანებისა და ფაუნის სხვადასხვა წარმომადგენლის ემბრიონები, შინაგანი ორგანოები, ძუძუმწოვრები, დელფინები, ღამურები, ქვეწარმავლები, ამფიბიები, დრაკონები, ქამელონები, მახრჩობელა გველები, მწერები... ზემოსხენებული მასალები ფორმალინის სითხეშია მოთავსებული. ამავე მუზეუმშია შესაძლებელი მოლუსკების, კიბორჩხალების, პარაზიტების, წეროების, გველების, ფლამინგოების, ზღარბების ნახვა.

აღსანიშნავია, რომ ზოოლოგიის მუზეუმის ბევრი ექსპონატი „წითელ წიგნშია“ შეტანილი. აქ არის დაცული გარეული კატები, რომლებიც საქართველოს ფაუნას წარმოადგენს, ასევე ტყის კატები და ლელიანის კატები, მთის არწივი ქაზბეგიდან. მუზეუმი დამთვალეირებულს იმ ფრინველების კვრცხებსაც აცნობს, რომლებიც საქართველოში ბუდობენ. გარდა ჩამოთვლილისა, მუზეუმი სხვა არაერთ ექსპონატს ინახავს. მეტ-ნაკლებად, ყველას აქვს ეტიკეტი და მოკლე ანოტაცია.

ზოგიერთ ფრინველს ორი ეტიკეტი ახლავს – ერთ-ერთია ძველი ეტიკეტი (კავკასიური მუზეუმის) და მეორე – ახალი. ყველა ექსპონატი დარიშხანის ხსნარითაა გაუღებელი. უახლოეს დღეებში იგეგმება ექსპონატების შეწამვა, რის შედეგადაც, ორი კვირით, მუზეუმი დაიკეტება, რადგან ხსნარი ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელია. ფიტულების შეწამვა აუცილებელია, რათა ექსპონატები სამუზეუმო ჭიისგან, ჭიანჭველებისგან და, შესაბამისად, დაზიანებისგან დაცვა.

აღსანიშნავია „შთაბეჭდილების წიგნი“, რომელიც ზოოლოგიის მუზეუმშია და ყველა იმ სტუმრისა და დამთვალეირებულის შთაბეჭდილებებს ინახავს, რომელსაც, წლების მანძილზე, მუზეუმის ექსპონატები დაუთვალეირებია.

### პალეონტოლოგიის მუზეუმი

პალეონტოლოგიის მონოგრაფიული მუზეუმის დაარსება გამოჩენილი მეცნიერისა და აკადემიკოსის, ალექსანდრე ჯანელიძის სახელთანაა დაკავშირებული. იგი დაარსდა 1926 წელს და განთავსებული იყო თსუ-ის პირველ კორპუსში. აქვე იყო გეოლოგიის ფაკულტეტიც. ალექსანდრე ჯანელიძემ უნივერსიტეტი საფრანგეთში დაამთავრა, გეოლოგიის მიმართულებით. მან სწორედ საფრანგეთიდან, სადაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პალეონტოლოგიური მუზეუმი იყო (რომელშიც ინახებოდა პალეონტოლოგიური მასალა მსოფლიოს მასშტაბით), წამოიღო მუზეუმის შექმნის იდეა, ავეჯის ესკიზები და ნახაზები. პალეონტოლოგიური მუზეუმის ამჟამინდელი ინვენტარის გარკვეული ნაწილი იმ ნახაზების მიხედვითაა შექმნილი. როცა ის გაფართოვდა, ახალი ავეჯიც დაემატა.

ალექსანდრე ჯანელიძემ, პირველმა შეისწავლა პალეონტოლოგიური მასალა. ის ამავე მუზეუმშია დაცული და ეწოდება „კოლხედიები“. მოგვიანებით, ეს მუზეუმი პირველი კორპუსიდან უნივერსიტეტის განივ კორპუსში გადავიდა. ყველა ექსპონატი, რომელიც ამჟამად განივის კორპუსის პალეონტოლოგიურ მუზეუმშია წარმოდგენილი, გეოლოგიის ინსტიტუტის მასალაა (გარკვეული დროის შემდეგ, გეოლოგიის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა და, შესაბამისად, მუზეუმიც მას აჩუქა).

ნინო ლაფაჩიშვილი პალეონტოლოგიური მუზეუმის მენეჯერია, სპეციალობით – გეოლოგი. მისი თქმით, უნივერსიტეტის განივ კორპუსში პალეონტოლოგიური მუზეუმის არსებობის შესახებ, ზოოლოგიური მუზეუმისგან განსხვავებით, ბევრმა არ იცის. მისი უმოთვარე-

სი დამთვალეირებელი უნივერსიტეტის სტუდენტობაა. სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში კი, მუზეუმს, ძირითადად, IX კლასს ზემოთ მოსწავლეები სტუმრობენ.

პირველი ნიშნები, რომელმაც პალეონტოლოგიური მუზეუმის დაარსებას დაუდო საფუძველი, არის ჯანელიძის ამონეტები. აქ მოთავსებული ყველა ექსპონატები გეოლოგებსა და პალეონტოლოგებს ეკუთვნის. გამოჩენილი მასალა წარმოადგენს როგორც საქართველოს, ისე – უკრაინას, სომხეთსა და აზერბაიჯანს. მუზეუმში ინახება ქეთევან ნუცუბიძის „ძირულის მასივის ლიასური (ასაკი) ღრუბლები (განმარბებული ორგანიზმები)“, მირიან თოფჩიშვილის, ივანე კახაძის, გიგა ზესაშვილის და სხვათა მიერ მოპოვებული ექსპონატები. ნინო ლაფაჩიშვილის თქმით, ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა გეოლოგები გასულან ველზე საკუთარი საქმიანობის ფარგლებში და უპოვნიათ ისეთი რამ, რაც, ახლა, პალეონტოლოგიის მუზეუმში ინახება.

მუზეუმშია დაცული თენგიზ პაიჭაძის მიერ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მოპოვებული მასალა, რაც უნიკალურია სწორედ იმის გამო, რომ ისინი ხსენებულ ტერიტორიებზეა ნაპოვნი. შეიძლება ითქვას, მუზეუმში დაცული მასალა სრულიად საქართველოს ფარგლებს მოიცავს. ინახება ივანე რუხაძის ამონეტებიც.

მუზეუმში გვითხრეს, რომ მარჯნების პირველი სპეციალისტი ნუნუ ბენდუქიძე იყო. სწორედ მის მიერ მოპოვებული მარჯნებია წარმოდგენილი მუზეუმში, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს, ისე უკრაინას და სომხეთს. დაცულია განმარბებული ზღარბები და სხვა ცხოველები. შეგიძლიათ, ნახოთ ფესვების, თესვების, სპორებისა და ფოთლების ქვეზე ანაბეჭდები. ასევე, მედია უზნაძის მიერ გოდერძის წყებიდან (უღელტეხილი) წამოღებული მასალა ფოთლების ანაბეჭდების სახით.

როდესაც მუზეუმი გეოლოგიის ინსტიტუტს ეკუთვნოდა, მისი დირექტორი თინათინ დვალი იყო. მუზეუმში მის მიერ მოპოვებული მასალაცაა წარმოდგენილი. თინათინ დვალის შემდეგ დირექტორის თანამდებობა ნანა სამხარაძემ დაიკავა და მუზეუმის ამჟამინდელი გამორეწავს სწორედ მას ეკუთვნის. დაცულია ნიკო სხორტაძის მიერ ლისის ტახზე ნაპოვნი განმარბებული ხე. ამავე მუზეუმში ინახება ქუთაისის (წვალტუბო) დინოზავრის ნაფეხურის ანაბეჭდი, რომელიც თაბაშირშია მოთავსებული. ასევე აკადემიკოს მიხეილ კაკაბაძის „საქართველოს კოლხიდიები“, 1971 წლის კოლექცია.

იმის გამო, რომ, სავარაუდოდ, მუზეუმის ამჟამინდელი ინვენტარი, თავის დროზე, სველი მასალისგან დამზადდა, დღეს ეს საკითხი პრობლემაა. პრობლემა იმდენად, რამდენადაც მასალა, ფაქტობრივად, გამოუსადეგარია. ზემოხსენებული ავეჯის მუზეუმში, კარის მიხურვაც კი დაზარალებას წარმოადგენს.

ზოოლოგიის მუზეუმში 5000-მდე სადემონსტრაციო ეგზემპლარია წარმოდგენილი. პალეონტოლოგიის მუზეუმში მოთავსებული მასალა, რეგიონში შეგროვებულ ნამარხი ორგანიზმების გარდა, ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის, საფრანგეთისა და ესპანეთიდან ჩამოტანილ მასალას მოიცავს.

ვფიქრობ, უნივერსიტეტის სტუდენტობა მარტო საკუთარი ფაკულტეტის და სპეციალობის შესახებ ინფორმაციის ფლობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მუზეუმები, რომლებიც უნიკალურ ექსპონატებს ინახავენ, სტუდენტებს ელიან.

მარიამ ტილიძე,

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი





თვითგამოხატვის ახალი ფორმა

HUMANS OF TBILISI - ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო

ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო... უჩინო უფროსობა... უფროსობა... უფროსობა...

Humans of Tbilisi უკვე 3 წელია არსებობს... 3 წელია არსებობს... 3 წელია არსებობს...

მეტი გამოხატვის სფერო... უფროსობა... უფროსობა... უფროსობა...

დედებზე, მოგვიყვი საიდან გაჩნდა ფოტო-ბლოგის ქართული ვარიანტი

უკვე რამდენიმე წელია, ფოტოგრაფიით ვარ დაინტერესებული... 2014 წლის 13 მარტს...

ჩვენი პროექტის იდეა, ზოგადად, ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო...

როგორ ფიქრობ, რა არის ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო

საქართველოში და, ზოგადად, მსოფლიოში ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო...



პროექტის იდეა, ზოგადად, ქრისტიანული ჯანსაღი საქართველო...

ხალხმა. ზოგადად, ამ უფროსობის დანიშნულება ალბათ...



ნამდვილი უცვლელად გამოაქვეყნოს - რაც მთავარია, ეს ისტორია მიაწოდოს...

ამ პერიოდის განმავლობაში გჭირდება თუ არა ინიციატივა, პროექტის ფარგლებში გეთანხმებით თუ არა მათგან თუ წამოიყვანოს მსგავსი ტიპის შემოთავაზება?

2014 წელსვე გვქონდა ტელეკომპანია „ტაბულასგან“ შემოთავაზება...

რა გეგმები აქვს Humans of Tbilisi-ს, შესაძლებელია თუ არა ვიხილოთ მის ფორმატში ცვლილებები?

ბოლო პერიოდში ვფიქრობ, რომ სიახლეები შემოვიტანოთ გვერდზე...

მარიამ გულიაშვილი, თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ადამიანები თბილისიდან - ისტორიები (HUMANS OF TBILISI)

ქეთევან სამხარაძე-ანთაძე (თსუ-ის სტუდენტი):

ბოლო სამი წელია, რაც ლაშქრობებში და კარვს „დაცემამ“ გამიტაცა...

წინა წლის ზაფხულს, ცხოვრებაში პირველად „გავსტოპე“ სრულიად მარტო...

გზაში გამომსაპინძლედ კიდევ, გაცვალეთ საკონტაქტო ინფორმაცია, აღმოჩნდა...

გან მიღებული შთაბეჭდილებები, აი, რა მინდობდა; ცხოვრებაც ხომ რეალურად...

ბუკინისტი თსუ-ის მიმდებარე ტერატივიდან:

20 წელია ბუკინისტი ვარ. აქედან ბოლო 12 წელია აქ, ჰავაგაძის მიწისქვეშა...

თორნიკე შევარდნაძე (თსუ-ის სტუდენტი):

ერთი წელი გავიდა უნივერსიტეტში სტუდენტური აქტივებიდან. შემდგომ იყო...

ჩვედი, რა ღირებულებაა უფრო წამყვანი შენთვის და მგონია, რომ ამას ვერც...

ქეთევან სახვაძე, სტუდენტი:

საინტერესო ისტორია რამდენად არის არ ვიცი...

ამ დღის დადგომამდე მეგონა, რომ გუშინდელი დღე გუშინდელს ჰგავდა...

მოვრიჩი წუწუნს და ჩემი ცხოვრება მართლა გავხადე ფერადი და საინტერესო.

გწუწუნებ მხოლოდ მაშინ, როდესაც მინდა და მჭირდება და არა უფრო წამს...

ისე ამდენი ადამიანის შესახებ რომ იცებთ საინტერესო ისტორიებს, მეც მაქვს ერთი...

სანდრო იანკოვსკი, ქრისტიანული მუსიკოსი:

ბავშვობიდან დავდიოდი სიმღერაზე, დაახლოებით 8 წელი აქტიურად ვმღეროდი...

# ევროპული ავტორიტეტის ინსტიტუტის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

თამარ ლალიანი

6 ატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში რომის ხელშეკრულების 60 წლისთავისადმი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ევროკავშირი 60. ევროკავშირის წარსული, აწმყო და მომავალი“ გაიმართა.

ღონისძიებას უმასპინძლეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ნინო ლაპიაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ნინო ბოლქვაძე, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკე ბარტოლი, ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იოჰანეს დუმა, საფრანგეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი დიდი ლერუა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე კარლო ნატალე, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

„ევროკავშირი დღეს ბევრ გამოწვევას ებრძვის, მათ შორის სკეპტიციზმის ტალღასაც. ზუსტად ამიტომ, წარსულის გაკვეთილების გათვალისწინება, ძველი თაობების ღვაწლის გახსენება და ევროპული პროექტის შექმნის მთავარი იდეა, დაგვეხმარება ევროკავშირის მნიშვნელობისა და ევროპელებისათვის გაწეული მიღწევების უკეთ გაგებაში“, – ამ სიტყვებით განხილეს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ ევროკავშირის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, „60 წლის წინ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რითაც დაფუძნდა გაერთიანებული ევროპა. ხოლო თსუ-ში 10 წლის წინ ჩამოყალიბდა ევროპული კვლევების ინსტიტუტი, რომელიც



ვიქტორ დოლიძე



ანტონიო ენრიკე ბარტოლი



კარლო ნატალე



ნინო ბოლქვაძე

ძალიან წარმატებულია. დაარსებიდან დღემდე ამ პროგრამის 200 კურსდამთავრებული გვეყავს და ვველა დასაქმებულია. ეს ნიშნავს, რომ კარგი პერსპექტივა აქვს იმ სტუდენტს, რომელიც ირჩევს ევროპეისტიკას, როგორც საგანს, რათა დასაქმდეს და წარმატებული გახდეს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი 2007 წელს ევროკავშირის TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანადგომით დაარსდა. ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტუდენტები სწავლობენ ევროკავშირის ეკონომიკას, ევროკავშირის ფინანსურ და სავალუტო პოლიტიკას, ევროკავშირის სამართალს, კონკურენციის პოლიტიკას, ევროპეიზაციას და ევროინტეგრაციის თეორიებს, ევროკავშირის ენერგეტიკულ პოლიტიკას, თავისუფალ ვაჭრობას და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. სტუდენტებს ასევე აქვთ საშუალება გაეცნონ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ასპექტებს, მიიღონ სათანადო ცოდნა ევროპის და ევროკავშირის ისტორიისა და ევროპის კულტურული მოზაიკის გარკვეული ასპექტების შესახებ.

„ევროკავშირს, ევროკომისიას და ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში ძალიან დიდი წვლილი აქვთ თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დაფუძნებაში. ეს იყო ძალიან გაბედული ნაბიჯი იმ დროისთვის, როდესაც გადავწყვიტეთ ამერიკის მასშტაბით შეგვექმნა პირველი ინტერდისციპლინური ინსტიტუტი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში. ევროკავშირის დაფინანსებით ასევე ავამოქმედეთ სადოქტორო პროგრამაც.

ჩვენ ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროინტეგრაციის კომიტეტთან პარლამენტში, ისევე როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ევროპასთან და ნატოსთან ინტეგრაციის საკითხებში. ჩვენ სტუდენტებს აქვთ ექსკლუზიური შესაძლებლობა სტაჟირება გაიარონ სახელმწიფო მინისტრის აპარატში, უშუალოდ გაეცნონ სამუშაო პროცესს“, – აღნიშნა ნინო ლაპიაშვილმა.

ევროკავშირის ისტორიული განვითარების, საქართველოს და ევროკავშირის დაახლოების პერსპექტივების შესახებ ისაუბრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროპისკენ სწრაფვა, არა მარტო ქართველი მეფეების, არამედ მთელი ერის სულისკვება იყო. ეს სულისკვება ქართველ ხალხს გამოჰყავდა ახლაც და ამის გამო ჩვენ თავს ევროპული ქვეყნის ნაწილად ვთვლით. მათი პროგრესი, სამართლებრივი აზროვნება და თავისუფალი ეკონომიკური ზონა ჩვენი ქვეყნისთვის კარგი პლაცდარმია ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

„60 წლის წინ რომში მოეწერა მნიშვნელოვანი შეთანხმებები ხელს, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნისა და ატომურ სფეროში თანამშრომლობის ე.წ. ევროატომის შეთანხმებას. რომელსაც შემდგომ კიდევ უფრო მეტი ინტეგრაცია, განვითარება და მეტი კეთილდღეობა მოჰყვა. გადავწყვიტეთ რომ ევროპელებთან ერთად თბილისში გვეხეიმა, რადგან საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია. ამავ დროს, საქართველო ევროპული და ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის მომავალი წევრია და დღევანდელ დღეს

ჩვენ ერთად ვხეივობთ. განვიხილავთ თემებს, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის წარსულს და მომავალს და საქართველოს ადგილს ამ პროცესში“, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

„ჩვენ დღეს აღვნიშნავთ ევროპის დაბადების დღეს – უპრეცედენტო მშვიდობისა და კეთილდღეობის 60 წელს. ყველაფერი დაიწყო რომში 60 წლის წინ. თუმცა, მაშინ, როდესაც ევროპის დაბადების დღეს აღვნიშნავთ, ევროპას ისეთი პრობლემები აწუხებს, როგორც არის ეკონომიკური კრიზისი, მიგრაციის კრიზისი და რწმენის დაკარგვა ევროპულ პერსპექტივაში. თუმცა, სხვა ქვეყნები, მაგალითად, საქართველო, ევროპას უყურებს, როგორც თავის მომავალს. დღეს ჩვენ ასევე აღვნიშნავთ საქართველოს დამსახურებულ ვიხალიბერალისაციას, რომელიც რამდენიმე დღეში შევა ძალაში“, – აღნიშნა იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ.

საიუბილეო ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო გამოფენა „მტკიცე კავშირი, რომელმაც დროს გაუძლო“, რომელიც ტექსტების, ფოტომასალებისა და დოკუმენტების მეშვეობით, ევროკავშირის ისტორიის ძირითად ეტაპებსა და უმნიშვნელოვანეს მიღწევებს მოგვითხრობს. ასევე, გაიმართა დისკუსია ევროკავშირის მომავალზე და საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და უოგლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA). ღონისძიების ორგანიზატორი იყო იტალიის საელჩო საქართველოში.

ღონისძიების ფარგლებში თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს დიპლომები გადაეცათ.

## ამერიკისმცოდნეობის მიმართულებაზე

### სტუდენტთა სამეცნიერო წრის შეხვედრა

თამარ ლალიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითქმის ათწლეულზე მეტია წარმატებით ფუნქციონირებს ამერიკის შესწავლის ცენტრი, ამერიკისმცოდნეობის სასწავლო პროგრამა, სადაც ქართველი სტუდენტები დიდი მონდობით ეუფლებიან მოკავშირე ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.

მიმართულებაზე ასევე ეფექტურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის წახალისება და მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ამერიკისმცოდნეობის უოგელწლიურ სტუდენტურ კონფერენციაში. ამასთან დაკავშირებით, 27 მარტს სამეცნიერო წრის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ამერიკისმცოდნეობის სამეცნიერო წრის თავმჯდომარესთან მარიამ ხატიაშვილთან ერთად ესწრებოდნენ სამეცნიერო წრის წევრები: ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტები: პავლე ყიფშიძე, ლიზი ძაგნიძე, მარიამ ფაჩიძე, ანი მღებრიშვილი და სხვები.

შეხვედრის თემა იყო სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და ამერიკისმცოდნეობის მე-5 უოგელწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, რომელიც 28 აპრილს გაიმართება. კონფერენცია აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს ეძღვნება.



მომავალი კონფერენციისთვის მზადება სტუდენტებმა ჯერ კიდევ ახალი სასწავლო წლიდან დაიწყეს. შეარჩიეს მათთვის საინტერესო თემები, დაუკავშირდნენ სამეცნიერო ხელმძღვანელებს, მოიძიეს ლიტერატურა და დაიწყეს საკონფერენციო მასალებზე მუშაობა.

„ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე 2012 წლიდან ფუნქციონირებს. სამეცნიერო წრის შეხვედრები რეგულარულად იმართება და მასში ჩართულნი არიან ამერიკისმცოდნეობის მიმართულების ის სტუდენტები, რომელთა სამეცნიერო ინტერესიც ამერიკის შესწავლის საკითხებს ეხება. სამეცნიერო წრის

შეხვედრებზე სტუდენტებს ვაცნობთ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების სპეციფიკას, ვეხმარებით დამყარონ კონტაქტი შესაბამისი კონკრეტული დარგის სპეციალისტთან, რომელიც მათი სამეცნიერო ხელმძღვანელი იქნება.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. წლებადილი კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე, სარედაქციო კომისია განსაკუთრებით მიესალმება ნაშრომებს, რომელიც აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობებს შეეხება.

დღეს, სამეცნიერო წრეზე განვიხილავთ საკითხებს, რომელიც თან ახლავს კონფერენციის ორგანიზებასა და მომზადებას. შეხვედრაზე სტუდენტები ნაშრომების საბოლოო ვარიანტზე შეკრებიან.

სამეცნიერო წრის მუშაობის დროს მიღებული ცოდნა ეხმარება სტუდენტს მაღალი დონის საბაკალავრო ნაშრომის მოამზადოს, რომელიც აუცილებლად იქნება გამორჩეული სხვა ნაშრომებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები ისეთ საკითხებსაც ეხებიან, რომელიც ჯერჯერობით საქართველოში შეუსწავლელია“, – განაცხადა ამერიკისმცოდნეობის სამეცნიერო წრის თავმჯდომარემ მარიამ ხატიაშვილმა.

„უკვე ორი წელია, რაც ამერიკისმცოდნეობის სამეცნიერო წრის წევრი ვარ. აქ ვისწავლე არა მარტო რეფერატების წერა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოვაზადო საინტერესო და მაღალი დონის საბაკალავრო ნაშრომი. აქ მუშაობამ გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი და შემძინა ის ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც სამეცნიერო მუშაობის დროს გამოამდგება“, – აღნიშნა ლიზი ძაგნიძემ.

აქვე შეგახსენებთ რომ, მომავალი კონფერენციისთვის ნაშრომების მიღება გრძელდება 2017 წლის 3 აპრილამდე. სტატიები უნდა შეესაბამებოდეს აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების საკითხებს, ისტორიას, პოლიტიკას, კულტურას და ფილოსოფიას.

ამერიკისმცოდნეობის სამეცნიერო წრის მუშაობის შესახებ ინფორმაციას კი გაეცნობით ვებ-გვერდზე: [americanstudies-tsu.weebly.com](http://americanstudies-tsu.weebly.com) და [assg@tsu.ge](mailto:assg@tsu.ge).

# საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო

ნაბო ობოლაძე

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტმა საბერძნეთის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი საღამო გამართა. ამავე ღონისძიებაზე გაიხსნა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტის საიუბილეო წელი (ინსტიტუტს 20 წელი უსრულდება) და კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“. ღონისძიებას საქართველოში საბერძნეთის საელჩოს წარმომადგენლები და უფილი ელჩის გეორგიოს ხადიმხელაკის ქალიშვილი ელპიდა ხადიმხელაკი დაესწრნენ. ელპიდა ხადიმხელაკმა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტს მამამისის კუთვნილი ბიბლიოთეკა გადასცა.

„ინსტიტუტის საიუბილეო დღეებში გვექმნება შესაძლებლობა მივესალმოთ ბერძენ მეგობრებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენს ინსტიტუტის დაფუძნების საქმეში. ერთ-ერთი გახლავთ პირველი ელჩი საქართველოში გეორგიოს ხადიმხელაკი. მინდა, ამ დღეს კიდევ კარგად



კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტში



მელიც ბევრი მიმართულებით მუშაობს. ჩვენ კოორდინაციას ვუწევთ პროგრამას – ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში.

გამორჩედს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის მნიშვნელობა. აქვე დავამატებ, რომ საბერძნეთის უფილი ელჩის ქალიშვილმა ელპიდა ხადიმხელაკმა გადმოგვცა ელჩის წიგნები, რომელიც ცალკე განთავსდება. ასევე, ჩვენს ინსტიტუტში გაიხსნება საბავშვო ბიბლიოთეკა, – განაცხადა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა.

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს საქართველოში ბერძნული ენის სწავლების პროგრამას და, შესაბამისად, ბერძნული კულტურის განვითარებასაც; მჭიდროდ თანამშრომლობს ბერძნულ დიასპორასთან. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეთნიკური უმცირესობის საკითხებში, თსუ-ის ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა სოფიო შამანიდმა საქართველოში ბერძნული ენის სწავლების მნიშვნელობისა და ბერძნული დიასპორის ისტორიის შესახებ ისაუბრა.

„ბერძნული დიასპორა საქართველოში დიდი იყო, საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ 100 000 ბერძენი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ბევრი მათგანი ახლა უკვე საბერძნეთშია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ძლიერია ბერძენთა ფედერაცია. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ახერხებს და ხელს უწყობს ბერძნული კულტურის განვითარებას და პროპაგანდას საქართველოში, მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის ინსტიტუტს, რო-

მელიც ბევრი მიმართულებით მუშაობს. ჩვენ კოორდინაციას ვუწევთ პროგრამას – ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში. საქართველო, მართლაც, გამონაკლისია ამ მხრივ. ჩვენი რესპუბლიკა იყო პირველი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სადაც დაიწყო ბერძნული ენის სწავლება. 80-იან წლებში ბერძენმა დედებმა ედუარდ შვარცნაძეს სთხოვეს მათი შვილებისთვის ბერძნული კლასების გახსნა. ეს იყო უპრეცედენტო და სარისკო. სწორედ მაშინ, 80-იან წლებში, საქართველოს სკოლებისთვის დაიწერა ბერძნული ენის სახელმძღვანელოები. მიხარია, რომ ტრადიციის გაგრძელება ახლა უკვე ჩვენი ძალებით მოვახერხეთ“, – აღნიშნა სოფიო შამანიდმა.

საქართველოსა და საბერძნეთის მეგობრულ ისტორიულ კავშირებზე ისაუბრა საქართველოში საბერძნეთის საელჩოს

წარმომადგენელმა, ეკონომიკის საკითხებში მრჩეველმა დესპინა დაუტაკუმ.

„ჩემთვის დიდი პატივია კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტში ვიხილო 1821 წლის სახალხო აჯანყებისადმი მიძღვნილი დღესასწაული (აჯანყება ბერძნული გენის აღდგომითა და თანამედროვე ბერძნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა). საბერძნეთსა და საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის მრავალი წელი აკავშირებს და ეს ურთიერთობები ქრონოლოგიურად ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების მხოლოდ 25 წელიწადით არ შემოიფარგლება. ამ პროცესში მეცნიერებასა და კულტურას ცენტრალური როლი აქვს. თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეციკის ინსტიტუტი წარმოადგენს ბირთვის და არის იმის მაჩვენებელი, თუ როგორ ინტერესს იჩენს ქართველი ახალგაზრდობა ბერძნული კულტურისა და ენის მიმართ“, – განაცხადა დესპინა დაუტაკუმ.

საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე გაიმართა კონცერტიც, მოეწყო 25 მარტისადმი მიძღვნილი პერფორმანსი სლავიების „1821 წლის ბერძნული აჯანყება ხელოგნებაში“ თანხლებით, რომელშიც სტუდენტებთან ერთად მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

# გამოიცა ხრებული „ფუნდამენტალიზმი. უმცირესობების, დისკრიმინაციისა და ტრანსნაციონალური ეთნოგრაფიები“

მაია ტორაძე

2016 წლის 20 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორებმა კრისტინაო ჯორდანო (ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია) და მარჩელო მოლიკამ (ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია) კრებული – „ფუნდამენტალიზმი. უმცირესობების, დისკრიმინაციისა და ტრანსნაციონალური ეთნოგრაფიები“ წარადგინეს. კრებულში გაანალიზებულია სირიელი სომხების (ჰაკობიანი), საქართველოს იეზუიტების (მოლიკა), ასირიელების (ხუციშვილი), მოლოკების (ანთაძე), თურქეთელი ქართველების (გუჯარიანი), თურქეთში მცხოვრები ალევიტების (დელიბაში), თურქეთსა და მარდიში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების (გიუნეში) და ლიბანის ქრისტიანთა (პანჩეტი) წინაშე მდგომი პრობლემები, იდენტობისა და რელიგიურობის მიმართებები.



ქეთევან ხუციშვილი

დღევანდელი მსოფლიოსთვის მეტად აქტუალურ საკითხს – ფუნდამენტალიზმის გამოვლინებებს. პროექტის კოორდინატორის (თსუ-ს მხრიდან) ქეთევან ხუციშვილის აზრით, ეს მნიშვნელოვანი წამოწყება იყო, რადგან რელიგიის გლობალური აღორძინების შესახებ კონსტრუირებული ნარატივები უფრო დიდი დეზაბატების ნაწილი გახდა და გაველენას ახდენენ საზოგადოებრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ დღის წესრიგზე. მიმდინარე ტრანსფორმაციების ახსნა სხვადასხვა მიდგომებით ხდება, კერძოდ მოდერნიზაციის, გლობალიზაციის, ტრანსნაციონალიზმისა და იდენტობის თეორიების ფარგლებში, მაგრამ ბევრი რამ მაინც აუსხნელია, რადგან საკითხის შეფასებისას რჩება გარკვეული დისკონცია ლოკალურ და გლობალურ განხორციელებებს შორის. პოლიტიკური მიდგომა ამარტივებს საკითხს და მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური მოზილიზაციის შედეგად მომხდარი დაყოფის ჰომოგენიზაციას ახდენს. ჩნდება კითხვა, რატომაა რომ ზოგან ხერხდ-

ბა ურთიერთობების შენარჩუნება-გაუმჯობესება, სხვაგან კი კონფლიქტურ სიტუაციამდე მივდივართ? მიმდინარე გეოპოლიტიკური და სოციო-დემოგრაფიული ცვლილებები გადაუდებლად საჭიროებენ აკადემიურ ანალიზს. კრებულის შექმნის ძირითადი ამოცანა იყო, შეეთავაზებინა სამეცნიერო საზოგადოებისთვის კავკასიისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მკვლევარების ხედვები, რომლებიც ეთნოგრაფიული მეთოდებისა და ემპირიული პერსპექტივის გამოყენებით შეკრებილ მასალას ემყარება, სამეცნიერო მიდგომათა მობილიზებისა და დეტერმინირებული მეთოდოლოგიური ჩარჩოების გაფართოების მიზნით, – განაცხადა მან.

კრებული სათაურით: „ფუნდამენტალიზმი. უმცირესობების, დისკრიმინაციისა და ტრანსნაციონალიზმის ეთნოგრაფიები“, დაიბეჭდა ფრიბურგის უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიური კვლევების სერის ფარგლებში. კრებულში შესულია თამარ ანთაძის (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ანთროპოლოგიის“ დოქტორანტი), ნურდინ ათალი გიუნეშის (მარდინ არტუკლუს უნივერსიტეტის ასოც. პროფ., თურქეთი), როზეტა გუჯარიანის (თსუ-ის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი), კიან დელიბაშის (აღნა მენდერეს უნივერსიტეტის პროფესორი, თურქეთი), მარჩელო მოლიკას (ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარია) და პიხის უნივერსიტეტის ლექტორი, იტალია), ბენედეტა პანჩეტის (ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარია), ქეთევან ხუციშვილისა (თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-

სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი), და არსენ ჰაკობიანის (ერევნის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სომხეთი) სტატიები. ნაშრომს ერთგვარ რედაქტორის მარჩელო მოლიკას წინასიტყვაობა და პროფ. კრისტინაო ჯორდანოს (ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარია) ბოლოსიტყვაობა. კრებული გამოცემულია LIT Verlag-ის მიერ ციურხში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მხარის წვლილი კრებულის მომზადების საქმეში. კერძოდ:

ქეთევან ხუციშვილის სტატია – „ეთნოკულტურული იდენტობის სტრუქტურის რელიგიური ასპექტები საქართველოს ასირიელთა თემში“, ემპირიული მონაცემების მიხედვით განიხილავს ქართველ ასირიელთა მცდელობას მიუხედავად ენობრივი და კონფესიური განსხვავებულობისა ჯგუფის შიგნით ხელი შეუწყონ ერთიანი ეთნიკური იდენტობის გამყარებას; როზეტა გუჯარიანის სტატია – „ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების გზები. ქართველთა სახალხო დღესასწაულები ართინის პროვინციაში (თურქეთის რესპუბლიკაში)“, ხანგრძლივი კვლევის შედეგია და თურქეთელი ქართველების უფრო დეტალურ შეფასებას უწყობს მნიშვნელოვან განიხილავს; თამარ ანთაძის სტატია – „მოლოკები საქართველოში: კულტურის ცვლილება და ახალი იდენტობის ძიება“, ანალიზებს მცირე რეგიონის კონფესიური ჯგუფის წინაშე მდგარ პრობლემებს იდენტობის შენარჩუნების გზაზე. პუბლიკაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

პროექტი, რომლის ფარგლებშიც კრებული გამოიცა, ე-

როკომისიის კვლევითი პროექტების ნაწილია. 2013 წლის 1 ივნისიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროკომისიის FP7 პროგრამის – მარი კიურის გრანტის ფარგლებში, შეუერთდა პროექტს – „წარმოსახვითი განვითარება: პოსტ-სოციალისტურ სამყაროში განვითარების პოლიტიკისა და მისი ეფექტების მულტიდისციპლინური და მრავალდონიანი ანალიზი“ (აკრონიმი PSDEV, საგრანტო შეთანხმება N318961) – კონსორციუმს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროექტში წარმოადგენს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროექტის კოორდინატორია ქეთევან ხუციშვილი.

კონსორციუმის წევრები ასევე არიან: ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი), ბირმინგემის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ფრიბურგის უნივერსიტეტი (შვეიცარია), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), გუანდონის უნივერსიტეტი (ჩინეთი), ნაციონალური კვლევითი უნივერსიტეტის უმაღლესი ეკონომიკის სკოლა (რუსეთი) და რენმინის უნივერსიტეტი (ჩინეთი).

ევროკომისიის კვლევითი პროექტების მიზანია, ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქვეყნებთან არა წევრი ქვეყნების დაახლოებას, ერთიანი სამეცნიერო სივრცის ფორმირებას და მასში რეგიონების წამყვანი უნივერსიტეტების აქტიურ ჩართვას. ამას გარდა, განსაკუთრებული ყურადღება ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას ექცევა. პროექტში მონაწილეობა გულისხმობს ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმართვას, კვლევის შედეგების ინტენსიურ გაზიარებას, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას და ახალგაზრდა მკვლევართა მრავალმხრივ მხარდაჭერას.



# დიხს, მაინცღამაინც ჯავახიშვილის უნივერსიტეტი!

## დედა უნივერსიტეტი!

ოლია ჰავადავადე წერდა: „ქართველისათვის „დედა“ მართო შობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს - „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოდს სახლისას - „დედა-ბოდს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს - „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედა-აზრს“... დღევანდელ დღეს დიდი ილია დაუმატებდა, უპირველეს და უმთავრეს უნივერსიტეტს დედა უნივერსიტეტი ჰქვიაო... ამას ახლა იტყოდა, როცა ასე გამრავლდა უნივერსიტეტები (ხაშურსა და ბაკურციხეშიც კი გაიხსნა თავის დროზე), თორემ 90-იან წლებამდე ეს პრობლემა არ იდგა...

და მოგუსმინოთ ილია ჰავადავადე, დავუჯეროთ და დავამკვიდროთ ტერმინი დედა უნივერსიტეტი.

ამ ტერმინს აქვს ისტორიული გამართლება: ყველამ კარგად იცის, ჩვენმა უნივერსიტეტმა როგორ წარმოიშვა, დაზარდა და დააფართიანა „შვილი“ უნივერსიტეტები: ჩვენი უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი იქცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად, მერე - აგრარულ უნივერსიტეტად; საამშენებლო ფაკულტეტი იქცა პოლიტექნიკურ უნივერსიტეტად, მერე - ტექნიკურ უნივერსიტეტად;

სამკურნალო ფაკულტეტი იქცა სამედიცინო ინსტიტუტად, მერე - სამედიცინო უნივერსიტეტად... ახალციხის ფილიალი - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი... 30-იან წლებში პედაგოგიური ინსტიტუტები შეიქმნა. უნივერსიტეტმა იზრუნა მათ უმაღლეს სკოლად ჩამოყალიბებაზე. ქუთაისში დღესაც იხსენებენ: დილით, ადრინადა, მატარებელი ჩამოდგებოდა და სადგურიდან პედინსტიტუტამდე ფეხით მიუყვებოდნენ აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი, არნოდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, სიმონ ქაუხჩიშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი და ლუკა ჭელიძე და მრავალი სხვა... ასე იყო ბათუმში, სოხუმში, თელავში, გორში... და მერეც, ძირითადად თბილისის უნივერსიტეტმა დააკომპლექტა ყველა უმაღლესი სასწავლებელი (რომელსაც შემდგომ უნივერსიტეტი დაერქვა).

ისტორია ისტორიაა და მთელი XX საუკუნე თბილისის უნივერსიტეტი განსაზღვრავდა საუნივერსიტეტო სივრცის სწორ განვითარებას. სასწავლო გეგმები და პროგრამები; სახელმძღვანელოები ძირითადად აქ იქმნებოდა და ვრცელდებოდა ყველგან... სწორედ ამის წყალობით განუსაზღვრელი იყო ავტორიტეტი



და საზოგადოებაზე ზემოქმედების ძალა დედა უნივერსიტეტისა... გავიხსენოთ თუნდაც 1978 წლის 14 აპრილი; 80-იან წლებში ეროვნული ბრძოლის განახლება და აღმავლობა...

და როცა ჩვენს გაზეთში („თბილისის უნივერსიტეტი“, 13 თებერვალი, 2017 წ.) დაიწერა, საკითხი ასე დასვეს, „რატომ, მაინცღამაინც, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი?“, არც მიკითხავს, ვინ თქვა ეს, რადგან დარწმუნებული ვარ, ამას წინა ხელისუფლების წარმომადგენელი ან მხარდამჭერი იტყოდა!.. რატომ ვფიქრობ ასე? მოგახსენებთ:

საკავშირის ხელისუფლებამ მოისურვა დედა უნივერსიტეტის ავტორიტეტის შელახვა, დამცირება, გაუფასურება... ხმამაღლა დაიჭანდა მინისტრმა კ. ლომიაძემ - „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვიძირკვავო!“ სწორედ მათ მოახდინეს „ეროვანი-

ზაცია“: ლიკვიდირებული იქნა სამეცნიერო სექტორი (უნივერსიტეტი დატოვა 1500-ზე მეტმა მეცნიერმა); ხუთჯერ (!) შემცირდა აკადემიური სექტორი... კონკურსები ჩატარდა ძირითადად პოლიტიკური ნიშნით... ამ შეტევას უნივერსიტეტზე ჰქონდა ამბიკრეტული მიზეზი და მიზანი... (გრცლად ამ პროცესებზე იხ. „დედა უნივერსიტეტის ძნელბედობის უამი. 2004-2013“, თსუ გამოც. 2016)... მაშინ ხმამაღლა თქვა ლომიაძემ, „ილიას უნივერსიტეტს ვაქცევ ამბიკრეტული უნივერსიტეტად“; ეს ჩვენი უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ ითქვა და რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა: გაუზარდა დაფინანსება ილიაუნს და შეუმცირა თსუ-ს; ილიაუნში პროფესორები 2-3-ჯერ მეტ ხელფასს იღებდნენ თსუ-ის პროფესორებზე; ელოდნენ ამას და მოხდა: დახარბდა არაერთი პროფესორი „ოცდაათ ვერცხლს“, ზურგი შეაქციეს დედანივერსიტეტს და მერე ტალახიც ესროლეს...

და მაინც, დედა უნივერსიტეტი დედაუნივერსიტეტობს!.. ერთი კია: იმ ათწლიან ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია; მრავალი პრობლემა შეიქმნა ჩვენს უნივერსიტეტში; ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვწერდი ამას წინათ ჩვენს გაზეთში („პირ-

ველ ქართულ უნივერსიტეტში ქართული ენა პრიორიტეტული აღარ არის?“ - „თბილისის უნივერსიტეტი“, 1 დეკემბერი, 2016). კოლეგები მარწმუნებენ, სხვა სპეციალობებზეც არაერთი პრობლემა შეგვიქმნა და დაგვიტოვა ლომია-ხუბუას ეპოქამო. უოველივე ეს დაიძლევა, ხელმძღვანელობის ნება სჭირდება ამას და ჩვენი მონდომება... თუმცა საფრთხე არსებობს: იმ პრობლემების შემოქმედთაგან მრავალი ისევ „ფორმაშია“ და ცდილობს, „რე-ფორმის ის გეზი“ შეინარჩუნოს; მარტივად რომ ვთქვათ, ხელს უშლის მდგომარეობის გამოსწორებას... ესეც დროებითი მგონია მე... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა ისეთი მყარი საფუძველი შეუქმნეს ჩვენს უნივერსიტეტს, ასეთ დროებით შემოტევენს გაუძლებს (გავიხსენოთ გასული საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლები...)

და დავამზვიდებ იმათ, ვინც შემოტევა უნდა სვამს კითხვას - „რატომ, მაინცღამაინც, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი?“... ვუპასუხებ:

დიხს, მაინცღამაინც ჯავახიშვილის უნივერსიტეტი!  
დედა უნივერსიტეტი!

გიორგი გოგოლაშვილი

## სტუდენტების წარმატება

### თსუ-ის მაგისტრანტის წარმატება ვილნიუსში

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ვილნიუსში (ლიტვა) 27 თებერვლიდან 2 მარტამდე მიმდინარეობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების გენეტიკის დეპარტამენტის მაგისტრანტმა გიორგი ჭითაშვილმა წარმატებას მიაღწია. მისმა თეზამ - „CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმი ქართულ პოპულაციაში“ (ხელმძღვანელი თსუ-ის პროფესორი თეიმურაზ ლუვაჯა), საუკეთესო ზეპირი მოხსენებისთვის პირველი ადგილი დაიკავა.



გიორგი ჭითაშვილი

უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დეპარტამენტმა გაუწია.

„მედიცინასა და ბიოლოგიაში არსებობს ასეთი მეთოდი - პერსონალიზებული მედიცინა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული მკურნალობა მოარგო პაციენტს. პერსონალიზებული მედიცინის ერთ-ერთი მიმართულება არის ინდივიდის გენოტიპის დადგენა და ამის მიხედვით კონკრეტული წამლის დოზის განსაზღვრა. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა რა თანაფარდობებით და გენოტიპებით იყო წარმოდგენილი ერთ-ერთი ანტიკოაგულანტი - შედედების საწინააღმდეგო წამლის, დამშლელი საქართველოს პოპულაციაში, მიგვეგნო მეთოდის-

ვის და მიგვეწოდებინა რეკომენდაცია შესაბამისი სამედიცინო დეპარტამენტებისთვის, რომ კარგი იქნებოდა ეს დოზა გათვალისწინებულიყო კონკრეტული შემთხვევებისას“, - აღნიშნა გიორგი ჭითაშვილმა. მოხსენებამ კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ პერსონალიზებული მედიცინა ბოლო 10 წელია აქტიურად ტრიალებს მსოფლიოს მასშტაბით, კონკრეტული კვლევა ამ მიმართულებით ბალტიისპირეთსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში, არ ჩატარებულა.

კონფერენციაზე მოხსენების გარშემო გაიმართა დისკუსია. ძირითადი კითხვები ეხებოდა იმას, თუ სად გადის ზღვარი ჯანმრთელ ინდივიდსა და პაციენტს შორის, რა ბარიერები შეიძლება შეხვდეს ალნიშნულ მეთოდს, ასევე, რამდენად მარტივი და მოქნილია იგი იმისთვის, რომ ის კლინიკურ სფეროში დაინერგოს.

თსუ-ის მაგისტრანტის კვლევაში გაანალიზებული იყო ორი ტიპის საკვლევი ობიექტის: ჯანმრთელი ინდივიდებისა და დაავადებული პაციენტების მონაცემები. ცდები ჩატარდა საკვლევი ინდივიდების სისხლის ნიმუშებზე (სხვადასხვა რეგიონებიდან) თსუ-ის გენეტიკის მიმართულების ლაბორატორიულ ბოქსებში.

### თსუ-ის სტუდენტი ბუდაპეშტის ფილიალის ფინანსური ანალიტიკოსი გახდა

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ დევაძე მსოფლიოში უდიდესი ნავთობომბოვებელი და გადამამუშავებელი ამერიკული კორპორაცია ExxonMobile-ის ბუდაპეშტის ფილიალის ფინანსური ანალიტიკოსი გახდა.

22 წლის მარიამ დევაძემ დამთავრებულ კურსზე ჯერ ბუდაპეშტში სწავლის გაგრძელების სრული დაფინანსება მოიპოვა, გასული წლის მაისში კი ჯონ როკველურის „სტანდარტ ოილის“ შტამომავალი კომპანიის ExxonMobile-ის თანამშრომელი გახდა.

„ძალიან მიყვარს თსუ, ეს უნივერსიტეტი სტუდენტებს უდიდეს პოტენციალს სთავაზობს, მთავარია, რომ სწორად გამოიყენო. სტუდენტობა ჩემთვის სწავლასთან ასოცირდება. ნაკლებად ვერთობოდი, დროის უდიდეს ნაწილს სწავლას ვუთ-



მობდი. თავის მხრივ უნივერსიტეტიც მიფასებდა მონდომებას და არაერთგზის სტიპენდიატი გახვდი. ასევე 2013 წლის საუნივერსიტეტო კონფერენციის ერთ-ერთი გამარჯვებულის ტიტული მხვდა წილად. 2015 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსში 100%-იანი გრანტი მოვიპოვე. ამავე წელს მოვიპოვე უნგრეთის მთავრობის სრული სასწავლო სტიპენდია ბუდაპეშტში სწავლის გასაგრძელებლად.“

### „ამოავალი ლიდერი“



თსუ კურს-დამთავრებული ნინო ნანტიასვილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ამოავალი ლიდერის“ ტიტულით დააჯილდოვა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 10 ახალგაზრდა შეარჩიეს. ნინო საქართველოში პირველი ტექნოლოგიური ჯგუფის „Google Developer Group“-ის დამფუძნებელია. მან შექმნა კომპიუტერული თამაშები ქართული და აფხაზი ახალგაზრდებისთვის და მიიღო მონაწილეობა 400-მდე ღონისძიების ორგანიზებაში.



# სტუდენტთა მხატვრული ნაშრომების საგაზაფხულო გამოფენა თსუ-ში

პრეტენზიული ბაროკო

ატინა გონჯელაშვილი პროფესიით ეთნოლოგია, მაგრამ ბავშვობიდან ხატავს. ამბობს, რომ შესაძლოა ვერასოდეს გახდეს პროფესიონალი მხატვარი, მაგრამ ფერწერა მის მთავარ გატაცებად დარჩება. „ძირითადად გრაფიკაში ვმუშაობ, რადგან ვთვლი, რომ ტუშით უკეთესად გადმოვცემ ჩემ სათქმელს“, – ამბობს იგი.



თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ სტუდენტებს გამოფენაში მონაწილეობა მიულოცა: „უნივერსიტეტში სასიამოვნო ტრადიციად იქცა სტუდენტთა ნაშრომების გამოფენა, წელს კი სხვა ფა-



კულტების სტუდენტებსაც მივეცი საშუალება – თავიანთი ნაშრომები წარმოედგინათ. სასიამოვნოა, რომ გამოფენაში მონაწილეობის სურვილი ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა, რომლებმაც უანობრივად მრავალფეროვანი თემატიკა წარმოადგინეს“, – განაცხადა მაია გურაბანიძემ.

სტუდენტებს უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა სხირტლაძე მიესალმა: „სასიამოვნოა და კარგი იდეა, რომ ჩვენ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაგაცნონ თავიანთი შემოქმედება. უნივერსიტეტი, პირველ რიგში, სტუდენტთა ერთიანობაა, ამიტომ მთავარია სურვილი, შემართება და ერთიანობის გაცდა... უულოცავ ყველა სტუდენტს გამოფენაში მონაწილეობას და იმედი, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდება“.

ვიზუალური ხელოვნების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლევან სილაგაძემ პროფესიონალ და არაპროფესიონალ მხატვრებს წარმატება უსურვა და აღნიშნა: „დედგანდელი ტექნოლოგიის პირობებში მისასაღებელია, რომ ახალგაზრდები იოლ გზას არ ირჩევენ და მათი ორიენტირი მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება, ტექნიკის დახვეწვა, გრაფიკული და ფერწერული გამომსახველობითი საშუალებებით თავიანთი ვიზუალური სათქმელის გადმოცემაა. ყველა სტუდენტს შემოქმედებით წარმატებას უსურვებ, ნუ გადაუხვევენ ამ გზას, რადგან თითოეული მათგანისთვის მხატვრობა მნიშვნელოვანია“.

გამოფენაში მონაწილეობა სტუდენტებს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემაც მიულოცა და სტუდენტები სერტიფიკატებით დააჯილდოვა.

## ხვლევა

# კონფლიქტები სასკოლო სივრცეში

თამარ ლალიანი

სკოლა, რომელიც ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, ხშირად ხდება მოხარბო შორის ძალადობის თავშესაფარი. საქართველოს სკოლებში ხშირია ჩაგვრის, დაცინვის, ზეწოლის ფაქტები, კონფლიქტები, ჩხუბი მოსწავლეებს შორის, რომელიც ხშირად ხელჩართულიდან შეიარაღებულ ჩხუბამდე მიდის. ასეთი ფაქტები ზოგჯერ არც ხმაურდება, რათა სკოლის პრესტიჟი არ შეილახოს.



ცოტა ხნის წინ, გაეროს ბავშვთა ფონდმა (NICEF) გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმად, გამოკითხული ბავშვების 80%-მა თანატოლების მხრიდან ერთხელ მაინც განიცადა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა.

მართვის ინსტიტუტთან თანამშრომლობით. „კონფლიქტების მართვისა და მშვიდობის მშენებლობის“ ცენტრის დირექტორმა კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სპეციალისტმა ნანა ბიჩინაშვილმა, პროექტის მენეჯერმა თეო გედენიძემ და ტრენერმა ქეთევან ვასაძემ საზოგადოებას ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები გააცნეს: კონფლიქტების პრევენცია სკოლებში; კონფლიქტების ფსიქოლოგია და მართვის მექანიზმები; კონფლიქტის სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნების ანალიზი და მართვა.

ფსიქიკაზე და ვერ უმკლავდება ამ კონფლიქტის შედეგად მიღებულ სტრესს, ხდება აგრესიული და მისი განწყობა შემდგომ კონფლიქტის სახით ვლინდება მის ქცევაზე სკოლაში და თანატოლებთან. ამ კვლევით ასევე დადასტურდა, რომ აუცილებელია მშობლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ შვილთან ურთიერთობას, მეტი ემოციური კონტაქტი დაამყარონ მასთან და დაინტერესდნენ მისი ყოველდღიური ცხოვრებით. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ბავშვები მარტო რჩებიან საკუთარ თავთან, შინაგან წინააღმდეგობებთან და აგრესიასთან, მათ არ გააჩნიათ საიმედო საყრდენი მშობლის სახით და ცდილობენ ამ აგრესიისგან განიტვიტონ თანატოლთან კონფლიქტურ სიტუაციაში შესვლით. ამდენად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლებში ძალადობის პრევენციას“, – განაცხადა ნანა ბიჩინაშვილმა.

„ძალადობის მოცულობის შემცირებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია, რათა ნებისმიერ მოსწავლეს ჰქონდეს პირობები, რომ თავი მაქსიმალურად უსაფრთხოდ იგრძნოს და თვითრეალიზება შეძლოს. ძალადობის შემცირებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია უსაფრთხო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვისაც, რადგან სკოლაში შექმნილი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ღირებულებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ზრდასრულობაში მოქალაქეების ქცევას. ასევე ცნობილია, რომ ძალადობის შემცირება სკოლებში დადებითად აისახება განათლების ხარისხზე. სკოლაში ძალადობას ხშირად თან სდევს სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ მასწავლებელთა და მოსწავლე-თა გულგრილობა. ამას ემატება მშობელთა ნაკლები ჩართულობა როგორც შვილის სასწავლო პროცესში, ისე ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თავისი მეთოდები და შეხედულებები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც იკვლევენ მიზეზებს და შემდეგ იწყებენ საჭირო ტრენინგების ჩატარებას, არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ მათ მშობლებთან და სკოლის დირექციასთან.

როგორც ნანა ბიჩინაშვილმა აღნიშნა: „კვლევის მიხედვით იყო გამოგვეკვლია კონფლიქტების სახეები სკოლაში და კონფლიქტების მხარეების – (მოსწავლე-მასწავლებელი-მშობელი) ურთიერთმიმართება. შევქმენით ფოკუს ჯგუფი და გამოვიკითხეთ როგორც სკოლის დირექტორები, ასევე, პედაგოგები და მოსწავლეები. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პედაგოგებს დღეს ძალიან უჭირთ გაკვეთილების ჩატარება, ვინაიდან კლასში ერთი მოსწავლე მაინც არის ისეთი, რომელიც ხელს უშლის გაკვეთილის მიმდინარეობას. ასევე ჩვენი კვლევიდან დადასტურდა, რომ სკოლებში მიმდინარე კონფლიქტები პირდაპირი გამოძახილია ოჯახში არსებული კონფლიქტებისა. თუ ბავშვი არ იზრდება ჩანსაღ ოჯახურ გარემოში და მომსწრეა ოჯახური კონფლიქტის, იგი სკოლაში მოღიზიანებული და აგრესიული გადის. ოჯახური ძალადობა და კონფლიქტი გავლენას ახდენს მოზარდის

შემოთ აღნიშნული კვლევის თანახმად გამოიკვეთა სკოლაში კონფლიქტის ორი ძირითადი სახე: ფიზიკური ძალადობა და ფსიქოლოგიური ძალადობა. გამოვლინდა ფიზიკური ძალადობის შემდეგი ფაქტები: მოსწავლის მიერ ყელში ხელის წაჭერა, კალმის შერტობა, წიხლის ჩარტყმა, თმების მოჭაჩა, პირადი ნივთების წართმევა და სხვა, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობისთვის დამახასიათებელი იყო შემდეგი გამოვლინებები: სიტყვიერი შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, ცინიზმი, კარგი სწავლის გამო დაცინვა, სოციალური ფონის გამო მიუღებლობა, ჩაგვრა სიმაღლისა და მეტყველების გამო.

ფსიქოლოგიური ძალადობა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის პროცესში ხდება - ზოგიერთი მასწავლებელი ბოროტად იყენებს თავის სტატუსს, ასაკობრივ თუ სხვა უპირატესობას - შეურაცხყოფს მოსწავლეს, ლანძღავს, დასცინის... რაც, ცხადია, ხელს უწყობს ბულინგის პროვოცირებას ბავშვებში“, – განაცხადა ტრენერმა ქეთი ვასაძემ.

ვე წარმოადგინეს რეკომენდაციები შექმნილი კონფლიქტების აღმოსაფხვრელად, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, ასევე, ჩამოყალიბოს გაკვეთილზე მოქცევის წესები და გამოხატოს რეაქცია დარღვევებზე, მან უნდა მოახერხოს მოსწავლის აგრესია შეცვალოს კეთილგანწყობით, წაახლისოს იგი და მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია არასასურველი ვითარების არსებობის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტები, რომ მასწავლებელმა არ იციან – თუ სად გადის ზღვარი მათსა და მოსწავლის უფლებებს შორის, ხოლო მშობლებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი შეზღუდვა აულებული აღზრდისა და მათზე მზრუნველობის ვალდებულება. სასკოლო კონფლიქტების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია მოსწავლე-მასწავლებელი-მშობლის ურთიერთთანამშრომლობა. მასწავლებელს მოეთხოვება პასუხისმგებლობა სამივე რგოლის – მოსწავლის, მშობლისა და სკოლის წინაშე, რაც ცენტრის თანამშრომელთა აზრით, მასწავლებელთა გადატვირთულ ვალდებულებებზე მიანიშნებს.

პრევენციის მეთოდ ნაწილი ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ-კურსების პრევენციის დაეთმო, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გააცნეს. ტრენინგები ბავშვთა აღზრდა-განვითარებას და სასკოლო სივრცეში კონფლიქტების დარეგულირების მეთოდებსა და პრევენციას ეხება. ეს ტრენინგ-კურსები უკვე „დატესტილია“ და მისი გავლის შემდეგ, მასწავლებელი თუ მშობელი უფრო მომზადებული ხდება კონფლიქტურ ნიადაგზე წამოჭრილ პრობლემას, უნარი აქვთ გაუმკლავდნენ მას და ახალი კონფლიქტის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებებიც დაეგვიან.

მანამდე კი ძალადობა სკოლებში კვლავაც მიიმე და ტრავიკული პრობლემები რჩება და არავინ იცის, რამდენი დამნაშავე, რამდენი მსხვერპლი და რამდენი კანონმორჩილი ადამიანი ჩამოყალიბდება მის კედლებში.





# „საქართველოს ბუნების 100 საოცრება“


## ნიგნი-გზამკვლავი ტურისტებისათვისაც

შარტხია ბაროშვილი

სიტუა „ძველი“, როგორც წესი, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენისა და ადამიანის უკვდავსაყოფად შექმნილ ხელოვნების ნიმუშთან ასოცირდება... ჩვენ კი ამ წიგნში ბუნების შექმნილ ძველებზე ვიამბობთ, სადაც თქვენთვის გაუცნობიერებელი გადართობა საოცარი სამყარო ბუნების იმეოთი ექსპონატებით“, – იტყვა ახალი წიგნის – „საქართველოს ბუნების 100 საოცრება“ პრეზენტაციაზე, რომელიც 14 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

მსოფლიოში თითქმის ყველაზე ღრმა, კრუბერის კარსტული უფსკრული; გეგის ჩანჩქერი, რომლის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს მღვიმე – მდიდარი სტალაქტიტებით, სტალაგმიტებითა და კარსტული სვეტებით; „თოვლიანის“ ხიფათით სავსე, ჩანჩქერებიანი „უფსკრული“, სადაც ჩასვლა ყველა სპელეოლოგის ოცნებაა; ახალი ათონის მღვიმე თუ ულამაზესი ინწრის, მესტიანულას თუ მაჭახელას ხეობები; მღვიმეები და ტბები – ყველაფერი, რაც თვით ბუნების მიერ არის შექმნილი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაბნეული და უნიკალურია თავისი წარმოშობითა და მნიშვნელობით.

წიგნის ავტორის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგიისა და კარსტოგრაფიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის გიორგი დვალაშვილის ინფორმაციით, წიგნში თავმოყრილი და აღწერილი ძველებისთვის მასალებზე იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა გეოგრაფებთან, ეკოლოგებთან, ისტორიკოსებთან, ფოტოგრაფებთან და სტუდენტებთან ერთად ექსპედიციების დროს. ამიტომ თითოეულ ფოტოსთან ახლავს აღწერილობა, რომელიც კვლევების შედეგად დადგინდა. თითოეულ ობიექტს თან ერთვის დეტალური ინფორმაცია, კოორდინატები და ფოტომასალა, ბუნების ღირსშესანიშნავი ადგილები კი რეგიონების მიხედვითაა დაჯგოფებული. წიგნში შეტანილი ბუნების ძველები რეგიონების მიხედვით არის განლაგებული. აღსანიშნავია, მათგან 40 ობიექტს ოფიციალურად აქვს მინიჭებული ძველის სტატუსი. ავტორთა განცხადებით, ბუნების ძველად შეიძლება




ჩაითვალოს ყველაფერი, რაც თავად მის წიაღში შექმნილია: მღვიმეები, ჩანჩქერები, ხეობები, ტბები და სხვა. თითოეულ ძველს სამეცნიერო, ისტორიული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს და დაცვა სჭირდება.



კრებულში აღწერილი საქართველოს ბუნების ღირსშესანიშნავი ძველები რეგიონების მიხედვით არის წარმოდგენილი. ყველაზე მეტი ობიექტი მცხეთა-მთიანეთიდან გვხვდება, მათ შორის გამორჩეულია ჭერმის კლდეები, რომის ლოდები, თრუსოს ხეობა, სახიზარის კლდის სვეტები და სხვა. უნიკალური ძველები მრავლად არის იმერეთის რეგიონშიც, მაგალითად: ძუძუნის მღვიმე, სადაც მეცნიერებმა ველური სელის ბოჭკოებისგან დამზადებული გრებილი ძაფის ნაშთებიც იპოვნეს. ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ ბოჭკო 34 ათასი წლის წინათ ადამიანმა გარკვეული ტექნოლოგიით, ხელით დაამუშავა. მეცნიერებმა სელის ძაფი მსოფლიოში უძველეს ძაფად აღიარეს.

კრებულში მდიდარი ბუნებრივი ძველებით წარმოდგენილია სამეგრელო- ზემო

სვანეთი. მნახველის გაცეხას იწვევს შამგონის კუნძული, ინწრის ხეობა, სადაც მრავლად გვხვდება მღვიმეები, ჩანჩქერები და მიწისქვეშა მდინარეები; მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე უშბის ჩანჩქერი, შხარის მთიანი მასივი და სხვა. გურიის მხარე თავისი ტბებით და მდინარეებით გამოირჩევა. მათ შორისაა პალიასტომის ტბა, რომლის ნაწილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარეობს. იგი სიდიდით მესამე ტბაა საქართველოში და უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ გადამფრენი ფრინველების გამოსახამთრებელი ადგილია. თავისი მნიშვნელობით მნიშვნელოვანია ასკანის თიხები, რომელიც 60 მილიონი წლის წინათ წალკეზე ვულკანების ფერფლის ზღვის წყლის პირობებში დალექვის შედეგად



პრომეთეს მღვიმე

ააფსთის ხეობასთან ახლოს მდებარე, კირჭვის კლდეებში გახსნილი გამჭოლი ბუნებრივი გვირაბი – ახიზის „ფანჯარა“, საქართველოში ყველაზე ღრმა – რიწის ტბა, მიწისქვეშეთის საოცრება – ახალი ათონის და აბრსკილის მღვიმეები და სხვა.

„კრებულში თავმოყრილი ბუნებრივი „ძველები“ მნიშვნელობითა და უნიკალურობით ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. თითოეული თავისი სილამაზით, განუმეორებლობითა და სრულყოფილებით აოცებს მნახველს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბუნება უბადლო შემოქმედია. მათი მოძიება, შესწავლა, კეთილმოწყობა და ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა ტურისტულ პოტენციალს გაზრდის და საქართველოს ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორებისთვის მიზიდველს გახდის; ამასთან, უზრუნველყოფს ობიექტთა დაცვასა და პირველქმნილი სახით მათ შენარჩუნებას. ეს წიგნი ერთგვარი გზამკვლევი გახდება როგორც მკითხველთა ფართო წრისთვის, ისე შესაბამისი პროფილის სპეციალისტებისა და ტურისტებისათვის“, – აცხადებენ წიგნის ავტორები.

„საქართველოს ბუნების 100 საოცრება“ ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემილია „კლიომ“ სერიის – „საქართველოს საგანძური“ - ფარგლებში (რომლის ავტორია იტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ზაზა ხიდურელი) გამოსცა. წიგნში გამოყენებულია გიორგი დვალაშვილის, რომან თოლორადავას, გოგა ჩანადირის, ბადრი ვადაჭკორიას და სხვა ფოტოგრაფთა ფოტოები.

ამავე პროექტის ფარგლებში უკვე გამოსულია წიგნები სათაურით „საქართველოს 100 კურორტი“ და „საქართველოს 100 მუზეუმი“, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება როგორც ტურისტებისთვის, ასევე, შესაბამისი პროფილის სპეციალისტებისთვის.



ბრითათის ტრავერტინები



წალკუბოს მღვიმეები



### მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

### მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

### ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

### შურნალისტი:

ნატო ობოლაძე

თამარ დადიანი

შურთხია ბეროშვილი

### ფოტოკომპიუტერისტი

ანა ბოლქვაძე

### კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

### რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯიანი, არსენ გვენტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუხაძე

### მისამართი:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

### ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

### ელ. ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge

### სამუშაო:

თამარ ჩიქოვანი, იანო პაპავაშვილი, რამაზ საყვარელიძე, გიორგი პაპალიძე



### უყურეთ!

ყველა სიხალსე - აქცენტებით, პრობლემას - განსჯით, ანგელოზა და წარსულს - გადაფასებით გადაცემაში „უნივერსია“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არხის ეთერში

